თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

„КОМУНИСТИ" ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ორშაბათი
6 მაისი
1940 წ.
№ 103 (5804)
ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

გენიალური რუსი კომპოზიტორი (მოწინავე)
ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს მუშაკთა დაჯილდოება (1-ლი გვ.)
ამხ. ი. ბ. სტალინის სახელობის დიდი ფერგანის არხის ტაჯიკური ნაწილის მშენებელთა დაჯილდოება (1-ლი გვ.)
გაზ. „პიონერსკაია პრავდას" 15 წლისთავი (1-ლი გვ.)
ბეჭდვითი სიტყვის დღისადმი მიძღვნილი საერთო საქალაქო კრება თბილისში (1-ლი გვ.)
ო. ეგაძე—გმირი-მფრინავის საბრძოლო გზა (მე-2 გვ.)
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვ.)
პეტრე ილიას-ძე ჩაიკოვსკი (მე-3 გვ.)

უცხოეთში:

მოკავშირეთა დიდი დამარცხება (მე-4 გვ.)
შვეციის პრემიერის ჰანსონის გამოსვლა (მე-4 გვ.)
მოკავშირეთა ჯარებმა დასტოვეს ნამსოსი (მე-4 გვ.)

გენიალური რუსი კომპოზიტორი

ხვალ სრულდება 100 წელი გენიალური რუსი კომპოზიტორის პეტრე ილიას-ძე ჩაიკოვსკის დაბადებიდან.

საბჭოთა კავშირის მრავალერიან ხალხთა სტალინური ოჯახი საყოველთაო ზეიმით აღნიშნავს ამ შესანიშნავ თარიღს. მადლიერი მშრომელი ხალხი სიყვარულით მოიგონებს მას, ვინც რუსი ხალხის ჭირვარამი, მისი სულიერი ტანჯვა და გულისტკივილი თვითმპყრობელობის შავბნელი ბატონობის ხანაში უჩვეულო ჰანგით აამეტყველა მუსიკაში და მით უდიდესი ამაგი დასდო მშობელი ხალხის ფართო მასების გათვითცნობიერების საქმეს.

რუსულ მუსიკას სხვა ერთა მუსიკისაგან ყოველთვის ასხვავებდა საკუთარ ხალხთან სულიერი კავშირის სიმტკიცე. მისმა დიდებულმა მამამთავარმა გენიალურმა გლინკამ შექმნა ეს სახელოვანი ტრადიცია და მუსიკალური შემოქმედების შთაგონების წყაროდ მომდევნო თაობებს ხალხი დაუსახა. დარგომიჟსკიმ, რუბინშტეინმა, ჩაიკოვსკიმ, რიმსკი-კორსაკოვმა და სხვ. ღირსეულად განაგრძეს ეს გზა და მშობლიური ხელოვნება უჩვეულო სიმაღლეზე აიყვანეს.

პ. ი. ჩაიკოვსკი რუსი ხალხის უსაზღვროდ მოყვარული და ჭეშმარიტი პატრიოტი იყო. ამ მხრივ მისი ცხოვრება და შემოქმედება უშუალოდ აახლოვებს მას საბჭოთა ხელოვნებთან, სოციალისტური ქვეყნის პატრიოტებთან.

— იცით, ჩემო ძვირფასო მეგობარო, — სწერდა ის საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს, — მე ჯერ არ შემხვედრია ადამიანი, რომელიც ჩემზე უფრო იყოს შეყვარებული დედა რუსეთზე... მე მგზნებარედ მიყვარს რუსი, მისი სიტყვა და აზრი, რუსულ სახეთა სილამაზე, რუსული ჩვევები". და მართლაც, თავისი ხალხისადმი, რუსეთის ბუნებისადმი, ყველა იმისადმი, რაც მშობელ მხარეს მოაგონებდა, მხურვალე სიყვარულით არის გამსჭვალული პ. ჩაიკოვსკის მთელი შემოქმედება.

ჩაიკოვსკის ოპერების დიდი უმრავლესობა რუსეთის ცხოვრებას ასახავს როგორც შორეულ წარსულში („ვოევოდა", „ჩაროდეიკა", „ოპრიჩნიკი", „მაზეპა"), ისე თანამედროვე ყოფაში („მჭედელი ვაკულა", „ევგენი ონეგინი", „პიკის ქალი"). მის გენიალურ მუსიკაში პირველად ამეტყველდა რუსი ქალის შესანიშნავი სახე, რომელსაც მასზე ადრე უმღერდა პოეზიაში დიდი პუშკინი.

როგორც ჭეშმარიტი პატრიოტი, პ. ჩაიკოვსკი არ ერიდებოდა თავისი გარემოცვის უარყოფითი მხარეების კრიტიკას. თვითმპყრობელობის შავბნელი დრო მის მუსიკას მელანქოლიურად აჟღერებდა. მაგრამ ხალხის სიყვარული, მგზნებარე ჰუმანიზმი მძლავრ ნაკადად იღვრებოდა და მაცოცხლებელ სულს ჰბერდა მის სიმფონიებს, ოპერებსა და რომანსებს. ამიტომ შეიყვარა იგი თავის მხრივ ხალხმაც. ამით მან უდიდესი გავლენა მოიპოვა დასავლეთ ევროპიულ მუსიკაზეც.

გენიალური კომპოზიტორის ცხოვრება ბევრი მხრივ არის მისაბაძი საბჭოთა ხელოვანისათვის.

პ. ჩაიკოვსკი დიდი მსოფლმხედველობით აღჭურვილი შემოქმედი იყო. ის ღრმად იცნობდა არა მარტო თავისი დროის ლიტერატურას, არამედ შორეულ ლიტერატურულ ძეგლებს, ფილოსოფიას, განსაკუთრებით რუსეთის ისტორიას, მის კულტურას, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. ასეთი ღრმა ცოდნის დაღი აზის მის მიერ მუსიკალურად გააზრებულ „ონეგინისა" და „პიკის ქალის" საოპერო ლიბრეტოებს.

ამავე დროს იგი თავის მიმართ უაღრესად მომთხოვნი ხელოვანი იყო.

— გახსოვდეთ, — ამბობდა ჩაიკოვსკი, — რომ ადამიანი, გენიოსიც რომ იყოს, ვერაფერს მოგვცემს... თუ არ იშრომა. და, რაც უფრო მეტი ნიჭი აქვს ადამიანს, მით უფრო მეტად უნდა იშრომოს მან".

დაძაბული, კეთილსინდისიერი შრომის შედეგად პ. ჩაიკოვსკიმ შექმნა დიდებული მემკვიდრეობა, რომელიც წარმოადგენს ძვირფას საუნჯეს არა მარტო რუსეთის, არამედ მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების საგანძურში.

თავისი შთაგონების წყაროდ გენიალურმა კომპოზიტორმა ხალხური სიმღერები და მელოდიები გაიხადა. ხალხურ სიმღერებს იშველიებდა ის საკუთარი შემოქმედებითი გააზრების დასაგვირგვინებლად, ნაწარმოების იდეის გასახსნელად მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და რიტმიული სიძლიერით. ის მოგზაურობდა რუსეთის ერთი გუბერნიიდან მეორეში, ხარბად იწერდა ხალხურ სიმღერებს, ესაუბრებოდა ხალხს, ეცნობოდა უფრო ახლო გლეხებს და მათ ყოფას. ხალხმა განუმტკიცა მას რწმენა ცხოვრებისადმი.

პ. ი. ჩაიკოვსკის მთელი შემოქმედება ასწავლის საბჭოთა კომპოზიტორებს და მუსიკოსებს, რომ უდიდესი შემოქმედებითი სიბრძნის მატარებელი არის ხალხი, რომელიც ყოველთვის მღეროდა. მღეროდა მაშინაც, როცა დუხჭირი ცხოვრების და მრავალგვარი ექსპლოატაციის ქვეშ გმინავდა, და ამ სიმღერის მელოდიებში აქსოვდა გამარჯვების რწმენასა და იმედს. მღეროდა მაშინაც, როცა უტევდა სასახლეებს, როცა ლაგმავდა თეთრგვარდიელ გენერლებს, მუსრავდა ინტერვენტებს, და კიდევ უფრო მძლავრი ხმით მღერის ახლა, როცა დაიმკვიდრა ბედნიერი და საამური ცხოვრება, მძლავრად უმღერის ამ ცხოვრების შემომქმედებს — **ლენინსა და სტალინს.**

და რა ბედნიერი იქნებოდა გენიალური რუსი კომპოზიტორი, მშობლიური ხალხის ასეთ საყოველთაო ალტაცებით აღსავსე სიმღერას რომ მოსწრებოდა!

საბჭოთა კომპოზიტორები გრძნობენ იმ ბედნიერებას, რაც 183-მილიონიან ხალხს მისცა ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ, გრძნობენ იმ ზრუნვას, რასაც მათდამი იჩენს ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი, და წარსული ხელოვნების მდიდარი მემკვიდრეობის დაუფლებით შესძლებენ მოგვცენ ისეთი მონუმენტალური ქმნილებები, რომლებიც ხელთუქმნელი ძეგლი იქნება პ. ი. ჩაიკოვსკის ხსოვნის უკვდავსაყოფადაც.

ბეჭდვითი სიტყვის დღისადმი მიძღვნილი საერთო საქალაქო კრება თბილისში

გუშინ საღამოს, შინსახკომის კლუბის შენობაში შესდგა თბილისის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების აქტივის საერთო საქალაქო კრება, ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებთან და მუშკორთა აქტივთან ერთად, მიძღვნილი **ბეჭდვითი სიტყვის დღისადმი.**

კლუბის დარბაზში თავი მოიყარა 600 კაცმა — თბილისის ჟურნალ-გაზეთების რედაქციებისა და გამომცემლობათა მუშაკებმა, მუშკორებმა, სამხკორებმა, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული აქტივის წარმომადგენლებმა, თბილისის საწარმოთა სტახანოველებმა, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებმა.

კრების პრეზიდიუმში არიან საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხ. **ი. თავაძე**, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ამხ. **ზ. დადიანი**, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. **ე. ჩერქეზია**, ამხ. **გ. გოჩაშვილი** (საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინის რაიკომის მდივანი), ამხ. **ნ. გალუსტოვი** (საქართველოს კ. პ. (ბ) კიროვის რაიკომის მდივანი), ამხ. **პ. მჭედლიძე** (საქართველოს კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი), ამხ. **ს. მჭედლიძე** (საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი), ამხ. **ა. ბოჯგუა** (ინდუსტრიული ინსტიტუტის დირექტორი), ამხ. **ზ. პოღოსიანი** (გაზ. „ხორურდაინ ვრასტანის" რედაქტორი), ამხ. **მ. სეიდოვი** (გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის" რედაქტორი) და სხვ.

კრება გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. კვაჭაძემ.**

კრებამ საპატიო პრეზიდიუმში უდიდესი აღფრთოვანებით, ხანგრძლივი მქუხარე ოვაციით აირჩია დიდი **სტალინი** და ამხანაგები **ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, მ. ი. კალინინი, ა. ა. ანდრეევი, ა. ა. ჟდანოვი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. პ. ბერია, ნ. მ. შვერნიკი.**

კრებაზე ბეჭდვითი სიტყვის დღის შესახებ მოხსენებით გამოვიდნენ გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორი ამხ. **ვ. ხატიაშვილი** და გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორი ამხ. **ვ. გრიგორიანი.**

მოხსენებების ირგვლივ კამათში გამოვიდნენ — ამხ. **კუჭავა** (სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონ - სარემონტო ქარხნის პარტკომის მდივანი), **გოზალოვა** (ბამბის ფაბრიკის კედლის გაზეთის რედაქტორი), **მურადოვი** (გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის" რედაქცია), **გოდინაშვილი** (სამხკორი). **ჩომახიძე** (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი).

კრებამ მოხსენებათა გარშემო მიიღო რეზოლუცია და მისალმება გაუგზავნა პარტიის ცენტრალურ ორგანოს—„პრავდას".

კრების შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი.

საჰაერო მიმოსვლა სსრ კავშირსა და გერმანიას შორის

მოსკოვი, 4 მაისი. მოსკოვ-ბერლინის საერთაშორისო ხაზზე რეგულარული საჰაერო მიმოსვლა დაიწყო საზაფხულო განრიგებით.

8 საათსა და 46 წუთზე მოსკოვიდან გაფრინდა საბჭოთა სწრაფი საფოსტო-სამგზავრო თვითმფრინავი „პს-84". იმავე დღეს იგი კენიგსბერგს ჩაფრინდა.

14 საათსა და 45 წუთზე თვითმფრინავი მოსკოვს გამობრუნდა. 19 საათსა და 47 წუთზე სწრაფი მანქანა მოსკოვის აეროდრომზე დაეშვა.

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს მუშაკთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ჩრდილოეთის საზღვაო გზისა და განაპირა ჩრდილოეთის რაიონების ათვისების საქმეში შესანიშნავი დამსახურებისათვის, აგრეთვე 1938 და 1939 წლების არქტიკული ნავიგაციების პერიოდში სანიმუშო და თავდადებული მუშაობისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოს 374 მუშაკი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 7 კაცი: ლ. ი. ბელახოვი — ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოს პოლიტსამმართველოს ყოფილი უფროსი, ამჟამად სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის პოლიტსამმართველოს უფროსი და სახკომის მოადგილე, ვ. ი. გელგარდტი—ჩრდილოეთის საზღვაო გზის ქარხანათა მშენებლობის მექანიკოსი, ი. ს. ლიპი — საჰაერო ფლოტის ენისეის საავიაციო ხაზის პილოტი, ა. პ. მელეხოვი — ყინულმჭრელის კაპიტანი, ი. ა. სიმკოვი—მურმანსკის ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილე, მ. ი. სოროკინი — ყინულმჭრელ „ერმაკის" კაპიტანი, ა. პ. ჩერნეცკი — ჩრდილოეთის საზღვაო გზის ქარხანათა მშენებლობის დურგალთა ბრიგადის ბრიგადირი.

„წითელი ვარსკვლავის" ორდენით დაჯილდოებულია 7 კაცი: ა. დ. ალექსეევი — პილოტი — საბჭოთა კავშირის გმირი, წინათ დაჯილდოებული ლენინის ორი ორდენით და „წითელი დროშის" ორდენით, ვ. ნ. ზადკოვი — მოსკოვის საავიაციო ჯგუფის პილოტი, გ. ე. კუპჩინი — იგარკის საავიაციო რაზმის მეთაური, ვ. კ. რიაბჩიკოვი — ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოს პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილე, მ. ვ. სტრეკალოვსკი — ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოს უფროსის მოადგილე, ნ. ლ. სიროკვაშა — მოსკოვის საავიაციო ჯგუფის პილოტი, მ. ი. შეველიოვი — ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოს უფროსის მოადგილე, საბჭოთა კავშირის გმირი, წინათ დაჯილდოებული ლენინის ორი ორდენით.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 47 კაცი. მათ შორის: ლ. ლ. ბალაკშინი — არქტიკული ინსტიტუტის უფროსი ჰიდროლოგი, გ. ლ. ვაზბუცკი — არქტიკული ინსტიტუტის უფროსი გეოლოგი, ვ. ვ. ვასილევი — ტანკერ „იუკაგირის" კაპიტანი, ვ. პ. ძიუბა — საკ. კ. პ. (ბ) ტაიმირის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, დ. ა. დრაგაიცევი — არქტიკული ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ნ. ს. ჟელეზნიაკოვი — საკ. კ. პ. (ბ) მურმანსკის საოლქო კომიტეტის მდივანი, ე. ლ. ჟოროვნიცკი—ჩრდილოეთის საზღვაო გზის იაკუტმშენის უფროსი, ა. ე. კამინოვი — პოლარული ავიაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე, გ. გ. კოლობაევი — ჩელუსკინის კონცხის პოლარული სადგურის მექანიკოსი, პ. ხ. კულაკოვი — საკ. კ. პ. (ბ) კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის მდივანი, კ. ე. კუჩერინი — ყინულმჭრელ „ლენინის" კაპიტანი, ლ. ვ. ლისტოვი — ჩელუსკინის კონცხის პოლარული სადგურის დისპეტჩერი, ი. პ. მაზურუკი — პოლარული ავიაციის სამმართველოს უფროსი, საბჭოთა კავშირის გმირი, წინათ ლენინის ორდენით და „წითელი ვარსკვლავის" ორდენით დაჯილდოებული, ი. მ. ნიკიტინი — პოლარული სადგურების სამმართველოს უფროსის მოადგილე, გ. პ. ოვოროდნიკოვი — საკ. კ. პ. (ბ) არხანგელსკის საოლქო კომიტეტის მდივანი, ა. ტ. პავლოვსკი — ყინულმჭრელ გემ „სიბირიაკოვის" 1-ლი კლასის მატროსი, ვ. ნ. პანფილოვი — შინსახკომის არხანგელსკის სამმართველოს უფროსი, ნ. მ. პეგოვი — საკ. კ. პ. (ბ) პრიმორიეს საოლქო კომიტეტის მდივანი, ვ. ა. რომიევსკი — ჰიდროგრაფიული გემის „ტოროსის" კაპიტანი, ა. პ. სიდოროვი — ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოს სამდინარო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი, მ. ი. სტაროსტინი — საკ. კ. პ. (ბ) მურმანსკის საოლქო კომიტეტის მდივანი, ი. ლ. სტეპანენკო — საკ. კ. პ. (ბ) იაკუტიის საოლქო კომიტეტის მდივანი, ა. ნ. ტიაგუნინი — კაპიტანი, მოსკოვის საავიაციო ჯგუფის პილოტი, ტევლიანტო — მშრომელთა დეპუტატების ჩუკოტის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ს. ვ. შმანევი — განმარტოების კუნძულის პოლარული სადგურის უფროსი.

„საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოებულია 88 კაცი. მათ შორის: ნ. პ. ანინი — საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსის მოადგილე, წინათ ლენინის ორდენით და წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული, ნ. ვ. ბერდნიკოვი — ყინულმჭრელ გემ „მალიგინის" კაპიტანი, ა. ა. ბონდარენკო—დიქსონის ნავსადგურის უფროსი, ა. ს. გიდულიანოვი — ყინულმჭრელ გემ „სიბირიაკოვის" კაპიტანი, ს. ს. გუზელინი — ყინულმჭრელ „კრასინის" ბოცმანი, ა. გ. კაპიტოხინი — პოლარული სადგურების სამმართველოს უფროსის მოადგილე, წინათ წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული, ტ. ი. კოზლოვსკაია — კუნძულ რუსკის პოლარული სადგურის რადისტი ქალი, ვ. ს. კროტოვი — ყინულმჭრელ გემ „მალიგინის" ბოცმანი, პ. ა. პონომარიოვი — გემ „უზბეკეთის" კაპიტანი, წინათ შრომის წითელი დროშის ორდენით და „წითელი ვარსკვლავის" ორდენით დაჯილდოებული, ლ. კ. შარბარონოვი — ყინულმჭრელ გემ „რუსანოვის" კაპიტანი, პ. პ. შირშოვი — ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, საბჭოთა კავშირის გმირი, წინათ ლენინის ორი ორდენით, „წითელი ვარსკვლავის" ორდენით და შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული, ა. ს. შუხერი — ტიქსის ნავსადგურის უფროსი.

მედლით **„შრომითი მამაცობისათვის"** დაჯილდოებულია 97 კაცი, მედლით, **„შრომითი წარჩინებისათვის"** დაჯილდოებულია 128 კაცი. (საკდესი).

ამხ. ი. ბ. სტალინის სახელობის დიდი ფერგანის არხის ტაჯიკური ნაწილის მშენებელთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სსრ კავშირში უდიდესი საირიგაციო ნაგებობის — ამხ. ი. ბ. სტალინის სახელობის დიდი ფერგანის არხის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის და ამასთან თვალსაჩინო წარმატებისათვის დაჯილდოებული არიან ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის კოლმეურნეები, ინჟინრები და ტექნიკოსები, საბჭოთა და პარტიული მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი არხის მშენებლობაზე.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 15 კაცი. მათ შორის: მუსაფაკულ აბდულაევი — ურა-ტიუბის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე, როდიონ მიხეილის-ძე გულუხოვი-ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, არხის მშენებლობის უფროსი, მირზო ჯურაევი—პროლეტარსკის რაიონის კოლმეურნეობა „კომინტერნის" კოლმეურნე, აიმბიბი მაქსუდოვა—კანიბადამის რაიონის კოლმეურნეობა „კიმის" კოლმეურნე, ნიკოლოზ დავითის-ძე სვირიდენკო—ტაჯიკეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ინჟინერი და სხვები.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 39 კაცი. მათ შორის: სულეიმან აზამკულოვი-კანიბადამის რაიონის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე, ბ. პ. ვნუჩკოვი—ტაჯიკეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ინჟინერი, ზულპია ჯუმაბაევა—ნაუს რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მ. ვ. კიპრიანოვი—ტაჯიკეთის კ. პ. (ბ) ლენინაბადის საოლქო კომიტეტის მდივანი და სხვები.

„საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოებულია 114 კაცი. მათ შორის: როზა არსლანოვა—ლენინაბადის საქალაქო თეატრის არტისტი, აბდუყადირ ჯურაევი—კანიბადამის მტს-ის ტრაქტორისტი, მამადალი ყურბანოვი—ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, მშენებლობის ტექნიკური საბჭოს წევრი, წინათ ლენინის ორდენით დაჯილდოებული, დ. ზ. პროტოპოპოვი—ტაჯიკეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი, მშენებლობის ტექნიკური საბჭოს წევრი, წინათ ლენინის ორდენით დაჯილდოებული, მუნავარ შაგადაევი—ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მშენებლობის ტექნიკური საბჭოს წევრი, წინათ ლენინის ორდენით დაჯილდოებული.

მედლით **„შრომითი მამაცობისათვის"** დაჯილდოებულია 132 კაცი და მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის"** — 148 კაცი. (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

სამხედრო მოქმედება ნორვეგიაში

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 5 მაისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგ ცნობას:

„ნარვიკის ჩრდილოეთით მტრის დიდმა ძალებმა ავიაციის დახმარებით კვლავ მოიტანეს იერიში ჩვენს სადარაჯო დაცვის ნაწილებზე. იერიში მოგერიებულ იქნა გერმანიის ავიაციის მონაწილეობით. სტენკიერიდან, ტრონჰეიმის ჩრდილოეთით, ჩვენი ჯარი წინ მიიწევს ჩრდილოეთისაკენ. გერმანიის ჯარის ნაწილებმა დაიკავეს ნამსოსი და გრონგი. ამ რაიონში მოქმედი ნორვეგიის ჯარის სარდალი დაგვნებდა ისე, რომ არავითარი პირობა არ წამოუყენებია. ლესიაკოგის აეროდრომზე, ონდალსნესის სამხრეთ-აღმოსავლეთით, აღმოჩენილ იქნა ინგლისის 20 დამწვარი თვითმფრინავი. გრძელდება ოპერაციები მტრისაგან რეროსისა და ტრიუსილის რაიონების გასაწმენდად. როგორც უკვე ვიუწყებოდით, 3 მაისს ჩვენმა ავიაციამ ნამსოსის მახლობლად ჩასძირა ინგლისის ერთი სახაზო გემი, ერთი მძიმე კრეისერი და ერთი დიდი ტრანსპორტი. 4 მაისს ჩაძირულ იქნა მტრის ორი სავაჭრო გემი და ნარვიკის მახლობლად — ყოფილი პოლონეთის საესკადრო ნაღმოსანი. გერმანიის ერთი თვითმფრინავი იძულებული გახდა ძირს დაშვებულიყო, რადგან მას საწვავი მასალა არ ეყო. 9 აპრილიდან დაწყებული, გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალებმა და ავიაციამ ჩასძირეს მტრის 23 წყალქვეშა ნავი. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის წყალქვეშა ფლოტი ოპერაციებს ნორვეგიაში აწარმოებდა, ინგლისის წინააღმდეგ სავაჭრო ომიც წარმატებით მიმდინარეობდა აპრილში. მტრისა და მისი მომსახურების გამწევი ნეიტრალური ჩაძირული სავაჭრო გემების ტონაჟი ახლა შეადგენს 2.300 ათას სარეგისტრო ბრუტტო-ტონას.

დასავლეთის ფრონტზე განსაკუთრებული რამ არაფერი მომხდარა".

ინგლისისა და საფრანგეთის ცნობები

ლონდონი, 5 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ნამსოსში ინგლის-საფრანგეთის ჯარების ჩასხმა გემებზე დამთავრდა 3 მაისის დილის 3 საათისათვის. გერმანიის ყუმბარმშენებმა მთლად დაანგრიეს ნამსოსის ნავსადგური.

ნორვეგიის პატარა რაზმი, რომელმაც 3 მაისს რეროსი დაიკავა, ამჟამად აჩევინებს გერმანიის ჯარის ნაწილებს ტენსეტისაკენ.

ნორვეგიაში მოკავშირეთა ჯარების გადაჯგუფებასთან დაკავშირებით, ამჟამად მთელი ყურადღება ნარვიკს ექცევა. ამ რაიონში არის 3-დან 4 ათასამდე გერმანელი ჯარისკაცი. ამ რაიონში სამხედრო ოპერაციები მოკავშირეებისათვის სავსებით ხელსაყრელად ვითარდება.

პარიზი, 5 მაისი (საკდესი). ჰავასის სააგენტომ გუშინ შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა ნორვეგიაში სამხედრო მდგომარეობის შესახებ:

„ონდალსნესსა და ნამსოსში გემებზე ჯარების ჩასხმა შეადგენს ჩრდილოეთ ნორვეგიაში მოკავშირეთა ძალების გადაჯგუფების ფართო ოპერაციის ნაწილს.

ნარვიკში მოკავშირეთა ოპერაციები ხელსაყრელად ვითარდება. გერმანელთა რაზმების შემადგენლობა საერთოდ არ აღემატება 4.000 კაცს, რომელთა მომარაგება მხოლოდ ავიაციის საშუალებით ხდება. მაგრამ ცუდი ამინდის გამო, რომელიც ამ ჩრდილოეთ ოლქში არის, ამ რაზმების ლიკვიდაცია მხოლოდ ძალიან ნელა შეიძლება განხორციელდეს.

მოიპოვება მხოლოდ ერთმანეთის საწინააღმდეგო და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა სამხრეთ ნორვეგიაში, სადაც ნორვეგიის იზოლირებული რაზმები მარტონი განაგრძობენ ბრძოლას გერმანელთა ძალების წინააღმდეგ, რომელნიც ცდილობენ გააფართოონ ოკუპაციის ზონა".

ინგლისის სამხედრო ღონისძიებანი ეგვიპტეში

ლონდონი, 5 მაისი (საკდესი). ყველა ინგლისური გაზეთი ათავსებს ცნობებს იმის შესახებ, რომ ალექსანდრიაში ჩავიდა ინგლის-საფრანგეთის სამხედრო ესკადრა და რომ ხდება იტალიის ძალების კონცენტრაცია დოდეკანეზის რაიონში. გაზეთ „დეილი ექსპრესის" კორესპონდენტი კაიროდან იუწყება, რომ 7 მაისს მთელ ეგვიპტეში ჩატარდება შუქშენიღბვა, კაიროსა და ეგვიპტის სხვა ცენტრებზე ინგლისის თვითმფრინავების სავარჯიშო საჰაერო თავდასხმასთან დაკავშირებით.

ნორვეგიული პრესა ნორვეგიაში მოკავშირეთა დამარცხების შესახებ

ოსლო, 5 მაისი. საღამოს ყველა გაზეთმა მთავარი ყურადღება ჩემბერლენის სიტყვას დაუთმო. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ინგლისმა ხელი აიღო გერმანელებთან ბრძოლაზე სამხრეთ ნორვეგიაში, ამასთან ისინი ვერ მალავენ თავიანთი იმედის გაცრუებას ინგლისის პოზიციით.

გაზეთი „მორგენბლადეტი" სწერს: „ჩემბერლენის სენსაციური განცხადება, უეჭველია, დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს ნორვეგელ ხალხზე. დიდ სახელმწიფოთა თამაშში პატარა სახელმწიფოს ჩაბმა ყოველთვის ტრაგედიას წარმოადგენს. ნორვეგია ახლა გამოცდილებით დარწმუნდა ამ ჭეშმარიტებაში".

„ინგლისის მთავრობა, — სწერს გაზეთი „ნატიონენი", — რომელმაც ნორვეგია ომში ჩააბა, თავისი მოქმედების ნაყოფს მოიმკის. ასე დამთავრდება მთელი ეს ისტორია. ჩემბერლენის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებასთან დაკავშირებით ჩვენ გულგატეხილობას არ შევუპყრივართ. ამ მხრიდან ჩვენ არაფერს არ მოველოდით და არასოდეს არ გვესმოდა ინგლისის იმ აგიტაციის აზრი, რომელიც ნორვეგიის წინააღმდეგ იყო მიმართული. მსოფლიოსათვის თანდათან ცხადი ხდება ის, რაც ფაქტიურად მოხდა. მაგრამ ეს ამბები ჩვენთან ჯერ ისე ახლოა, რომ არ შეგვიძლია ჩავწვდეთ მთელ მნიშვნელობას ამ სამხედრო-პოლიტიკური მსოფლიო სკანდალისას".

მორისონის გამოსვლა

ლონდონი, 5 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ საუტჰემპტონში სიტყვა წარმოსთქვა ლეიბორისტმა ჰერბერტ მორისონმა. მან განაცხადა, რომ ნორვეგიაში უკანასკნელად მომხდარი ამბები წარმოადგენენ დამარცხებას, რომლის დამალვა თავის მოტყუება და სილაჩრე იქნებოდა.

მორისონმა მკაცრად გააკრიტიკა ჩემბერლენი, საიმონი და ჰორი, რომლებსაც, მისი აზრით — „აწევთ მთავარი პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ ისინი ატარებდნენ მეტისმეტად გაუბედავ საგარეო პოლიტიკას, რომელმაც ინგლისი ომამდე მიიყვანა".

„მე,—განაგრძობს მორისონი, — ვფიქრობ, რომ ამ სამ კაცს აწევს აგრეთვე მთავარი პასუხისმგებლობა ჩვენს სამხედრო ღონისძიებათა შედარებითი სისუსტისათვის. მოვითხოვ მათგან განიხილონ საკითხი—ხომ არ იქნება ინგლისისათვის უკეთესი, თუ ისინი თავიანთ პოსტებს დასტოვებენ".



პ. ი. ჩაიკოვსკი

გაზ. „პიონერსკაია პრავდას" 15 წლისთავი

გაზეთ „პიონერსკაია პრავდის" რედაქციას, თანამშრომლებსა და მკითხველებს

ძვირფასო ამხანაგებო!

მოგილოცავთ დიდ დღესასწაულს—პიონერთა და მოსწავლეთა სრულიად-საკავშირო გაზეთის თხუთმეტი წლისთავს.

„პიონერსკაია პრავდა" კარგი და გონიერი გაზეთია, რომლითაც თქვენ ყველას სამართლიანად შეგიძლიათ იამაყოთ. მან უდიდესი მუშაობა გასწია საბჭოთა ბავშვების კომუნისტური აღზრდის საქმეში და იგი ღირსეულად სარგებლობს მოსწავლეთა და მშობელთა სიყვარულით.

მთელი სულითა და გულით გისურვებთ ახალ წარმატებებს განათლებული, მაღალკულტურული პოლიტიკურად ნათელი და გარკვეული, პატიოსანი და მართალი, გაბედული და მამაცი, კოლექტივიზმის სულისკვეთებით ძლიერი საბჭოთა მოქალაქეების—სოციალისტური სამშობლოს პატრიოტების აღზრდის საქმეში, ისეთი ადამიანების აღზრდის საქმეში, როგორიც იყო ლენინი და როგორიც არის სტალინი.

თქვენი **მ. კალინინი.**

გაზეთ „პიონერსკაია პრავდის" რედაქციას

„პრავდის" რედაქცია გულითადად ულოცავს „პიონერსკაია პრავდას" მისი არსებობის თხუთმეტი წლისთავს და უსურვებს მას შემდგომ წარმატებებს საბჭოთა ბავშვების კომუნისტური აღზრდის საპატიო და დიდად პასუხსაგებ საქმეში. დეე „პიონერსკაია პრავდა" შემდეგშიც აქტიურად ეხმარებოდეს სკოლას, თავისი ფურცლებიდან ცოცხლად და წარმტაცად მოუთხრობდეს პიონერებსა და მოსწავლეებს, თუ როგორ ცხოვრობს და მიდის წინ ჩვენი ქვეყანა, როგორ იფურჩქნებიან ჩვენში ხალხის წიაღიდან გამოსული ტალანტები ცხოვრების ყველა დარგში, როგორ ქმედითად უყვართ საბჭოთა ადამიანებს თავიანთი სამშობლო და როგორ იცავენ მას მტრებისაგან. დეე „პიონერსკაია პრავდა" შემდეგშიც იყოს ლენინ-სტალინის პარტიის და კომკავშირის ერთგული თანაშემწე ჩვენი ბავშვების ისეთ ადამიანებად აღზრდის საქმეში, რომლებიც შეგნებული, განათლებული, შრომისმოყვარე, ფიზიკურად ღონიერი, თავიანთი სამშობლოსადმი უსაზღვროდ ერთგული, მთელ მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვებისათვის მებრძოლნი იქნებიან.

„პრავდის" რედაქცია.

საბრძოლო ფურცლები

დროს ჯერ კიდევ არ მოუხდენია გავლენა ამ მაღელვებელ ფურცლებზე. პატივისცემითა და სიყვარულით ჰფურცლავს კაცი ფრონტის ბოლშევიკურ გაზეთებს: „ზაშჩიტნიკ როდინი", „ზა როდინუ", „ვოროშილოვეც", „ზა პერვენსტვო", „ბოევაია კრასნოარმეისკაია" და ათობით სხვა გაზეთებს. ესენი წითელი არმიის ერთგული თანაშემწეები არიან. ფრონტის პრესას თვით მებრძოლნი, მეთაურები და პოლიტმუშაკები ჰქმნიდნენ. იშვიათია ისეთი გაზეთი, რომელსაც თეთრგვარდიელ ფინელებთან ბრძოლის დროს წითელარმიელთა ათასათასხუთასი წერილი მაინც არ დაებეჭდოს. ეს წერილები იწერებოდა სიცივეში, ცეცხლის ხაზებზე, მიწურებში, როდესაც ბრძოლა მოკლე ხნით შესწყდებოდა. სწერდნენ მამაცი საბჭოთა პატრიოტები, რომლებმაც ახალი სახელი და დიდება შემატეს საბჭოთა იარაღს. ფრონტის გაზეთების ბევრმა სამხკორმა დაიმსახურა სამშობლოს უმაღლესი ჯილდო მამაცობისა და გმირობისათვის. მარტო ერთი გაზეთის „ზაშჩიტნიკ როდინის" აქტიურ კორესპონდენტთა შორის არის ათი საბჭოთა კავშირის გმირი.

ყოველი გაზეთის მისამართი კარგად იცოდა თვითეულმა მებრძოლმა. რედაქციები იქვე მახლობლად თავსდებოდნენ, ისინი ნაწილს მისდევდნენ.

თეთრგვარდიელ ფინელებთან ბრძოლების პირველი დღეებიდანვე საფრონტო წითელარმიული პრესა სავსე იყო მასობრივი გმირობის ამაღელვებელი მაგალითებით. გაზეთი „ზა სვობოდუ" იუწყებოდა, რომ მებრძოლმა გავდიშმა სიკვდილს გადაარჩინა მეთაური, კომკავშირელი ფეშიატკო, სერიოზული ჭრილობის მიუხედავად, მწყობრში დარჩა. ევგენია კირილოვა, არ ერიდებოდა რა სასიკვდილო საფრთხეს, სამედიცინო დახმარებას უწევდა მებრძოლებს... გაზეთი „ბოევაია კრასნოარმეისკაია" იწვევდა მარიჩევის ბატალიონის საბრძოლო მაგალითის პროპაგანდას: „მარჯვე ტყვიით, ჩიშტითა და ხელყუმბარით მარიჩევის ბატალიონი ანადგურებს მტერს". ბევრ სხვა მაგალითთა შორის, მოყვანილია ასეთი მაგალითი:

„მტრის განლაგების ადგილს ბატალიონისაგან მაღალი ციცაბო კლდე ჰყოფდა. ამ კლდეზე რამდენიმე მწკრივად იყო გაჭიმული მავთულის ხლართი. იქიდან თეთრგვარდიელი ფინელები ყუმბარებს გვიშენდნენ. ფლანგებიდან შემოვლა არ შეიძლებოდა. ბატალიონის მეთაურმა მიიღო გადაწყვეტილება. ოთხი გაბედული ვაჟკაცი ერთმანეთს მხრებზე შეადგა და ამგვარად მოაწყეს პირამიდა, რის შემდეგაც ზემოთ მყოფმა გადასჭრა მავთული. წითელარმიელთა ჯგუფი ამგვარადვე ავიდა კლდეზე და ბრძოლა გაუმართა მტერს".

საუკეთესო საბრძოლო ნიმუშების აჩვენებს ფრონტის პრესის მეშვეობით მეორე დღესვე ტყობილობდა მებრძოლთა, მეთაურთა, პოლიტმუშაკთა მთელი მასა.

გაზეთი „ნა ბოევომ პოსტუ" სწერდა მანერჰაიმის ხაზის იერიშის დაწყების შესახებ:

„გაისმა მძლავრი, ომების ისტორიაში უმაგალითო საარტილერიო კანონადა. სამეთაურო პუნქტიდან სადენების მეშვეობით მოეფინა აღმაგზნებელი სიტყვები: „იერიში, იერიში, იერიში!"

დაიძრნენ გმირული მე-123 დივიზიის ნაწილები მანერჰაიმის ხაზის გასარღვევად...

ლეიტენანტ სამოილოვის ქვედანაყოფი პირველი აბდენს მტრის ბუნკერის ბლოკადას. მტერმა ვერ გაუძლო შეტევას. რამდენიმე წუთის შემდეგ „დოტზე" წითელი დროშა აფრიალდა".

საფრონტო პრესის დამსახურება დიდად დააფასეს ხალხმა, პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ. წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულია გაზეთი „ნა სტრაჟე როდინი". ორდენები დაიმსახურეს გაზეთ „ბოევაია კრასნოარმეისკაიას", „ზა პერვენსტვოს", „ზა როდინუს" რედაქტორებმა და ბევრმა სხვა ბოლშევიკ ჟურნალისტმა.

ლენინგრადი, 4 მაისი (საკდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **ს. ა. აკოპოვი** დანიშნა მძიმე მანქანათმშენებლობის სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ და ამხ. **პ. ზ. ზამოგილნაია** მძიმე მანქანათმშენებლობის სახალხო კომისრის მოადგილედ. (საკდესი).

ბრძანებულება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დებულების დამტკიცების შესახებ

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ.

2. გაუქმდეს საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 27 მაისის დადგენილება „მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა წოდების შესახებ“ (კან. კრ. 1936 წ. № 16, მუხ. 96).

დებულება
საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ

1. საქართველოს სსრ საპატიო წოდებას ანიჭებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

ა) **მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდება ან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება** მიენიჭება მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის განსაკუთრებით ღირსეული ნაშრომებისათვის, სოციალისტური მშენებლობის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩენისა და გამოგონებისათვის, ან თვალსაჩინო სამეცნიერო-პრაქტიკული და სამეცნიერო-პოპულარიზატორული მოღვაწეობისათვის;

ბ) **საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება** მიენიჭებათ თეატრის, კინოს, ესტრადის, ცირკის არტისტებსა და რეჟისორებს, აგრეთვე განსაკუთრებულ ოსტატ მუსიკალურ შემსრულებლებს, რომლებმაც შექმნეს თვალსაჩინო სამხატვრო ნიმუშები, სპექტაკლები, კინო-ფილმები და მუსიკალური ნაწარმოებნი და რომლებსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით ხელოვნების განვითარების საქმეში;

გ) **საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება** მიენიჭებათ რეჟისორებს, მხატვრებს, მოქანდაკეებს, არქიტექტორებს, კომპოზიტორებსა და ხელოვნების სხვა მოღვაწეებს, რომლებმაც შექმნეს ხელოვნების თვალსაჩინო ნაწარმოებნი ან რომლებსაც დიდი დამსახურება მიუძღვით სამხატვრო კადრების აღზრდისა და მომზადების საქმეში, აგრეთვე ხელოვნების დარგის სამეცნიერო ნაშრომების შექმნაში;

დ) **საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება** მიენიჭებათ თეატრის, კინოს, ესტრადის, ცირკის რეჟისორებსა და არტისტებს, აგრეთვე მაღალი ოსტატობის მუსიკალურ შემსრულებლებს, რომლებმაც შექმნეს მაღალმხატვრული ნიმუშები, სპექტაკლები, კინო-ფილმები, მუსიკალური ნაწარმოებნი და თავიანთი საქმიანობით ხელს უწყობენ ხელოვნების განვითარებას;

ე) **საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება** მიენიჭებათ დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების მასწავლებლებს, რომლებმაც იმუშავეს სკოლაში არანაკლებ 10 წლისა, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი აღმზრდელობითი-პედაგოგიური საქმიანობით, თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს ბავშვთა კომუნისტური აღზრდისა და სწავლების საქმეში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს;

ვ) **საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის წოდება** მიენიჭებათ საექიმო უბნების, ამბულატორიების, სამშობიარო სახლების, საავადმყოფოების, პოლიკლინიკებისა და სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სანიტარულ დაწესებულებათა ექიმებს, რომლებმაც ამ დაწესებულებებში იმუშავეს არანაკლებ 10 წლისა და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი პრაქტიკული საქმიანობით სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

2. საქართველოს სსრ საპატიო წოდებანი მიენიჭებათ საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს წარდგენით.

საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ სახალხო კომისარიატებისა და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს წინაშე შუამდგომლობის აღძვრა შეუძლიათ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოებს და მათს აღმასრულებელ კომიტეტებს, პარტიულ, პროფესიულ და სხვა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში აღნიშნული საბჭოები და ორგანიზაციები შუამდგომლობას აღძრავენ ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს წინაშე, რომლებსაც თავიანთი წინადადებანი შეაქვთ საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისარიატებში ან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოში.

სახალხო კომისარიატებისა და ხელოვნების საქმეთა სამმართველოსათვის წარსადგენ მასალებს დართული უნდა ჰქონდეს სათანადო პროფესიული კავშირის ცენტრალური კომიტეტების დასკვნები.

3. იმ პირებს, რომლებსაც საქართველოს სსრ საპატიო წოდება მიენიჭათ, მიეცემათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები.

4. საქართველოს სსრ საპატიო წოდების ჩამორთმევა შეუძლია მხოლოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

1940 წ. 25 აპრილი.

ბრძანებულება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ჭიათურის რაიონის მერევის სასოფლო საბჭოს ნიგოზეთის სასოფლო საბჭოდ გადარქმევის შესახებ

დაკმაყოფილდეს მშრომელთა დეპუტატების ჭიათურის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობა და ჭიათურის რაიონის მერევის სასოფლო საბჭოს ეწოდოს ნიგოზეთის სასოფლო საბჭო, რადგან სასოფლო საბჭოს ცენტრი იმყოფება სოფ. ნიგოზეთში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

1940 წ. 25 აპრილი

პარტიისა და მთავრობის დადგენილებას საქმით უპასუხებენ

სოხუმი, (საქდესი). აფხაზეთის კოლმეურნენი უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხობრივი მეღვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა საუკეთესო სტახანოველმა კოლმეურნე-ქალმა შ. ქორთუამ განაცხადა:

— მხურვალედ ვიწონებთ ამ ისტორიულ დადგენილებას. იგი ჩვენ გვისახავს კოლმეურნეობათა შემდგომი აყვავების ახალ უდიდეს პერსპექტივებს. ჩვენში ჩაი ძირითადი კულტურაა. შარშან მრავალმა ჩვენგანმა მარტო ფულად 6-7 ათასი მანეთი შემოსავალი მიიღო. ჩვენი პირველი ბრიგადა ვალდებულებას კისრულობს წელს ჰექტარზე საშუალოდ 2.700 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოჰკრიფოს შარშანდელი 1.800 კილოგრამის ნაცვლად.

— ჩვენ, — სთქვა კოლმეურნე ა. ვანჩამ, — ყოველგვარი შესაძლებლობა მოგვეპოვება იმისათვის, რომ არა მარტო დიდი მოსავალი მივიღოთ ჩაის ფოთლისა, არამედ წლითი-წლობით გავადიდოთ კიდევაც ჩაის პლანტაციების ფართობი.

კრებაზე გამოვიდნენ აგრეთვე კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. საქონია, კოლმეურნეობის ბრიგადირი ი. ლადარია, სტახანოველი ქალი ლ. ვანჩა და სხვანი. ამხ. საქონიამ აღნიშნა, რომ მომავალ წელს კოლმეურნეობა ჭაობიან ადგილებს აითვისებს და 5 ჰექტარ ბამბუკს გააშენებს.

○

ქუთაისი, (საქდესი). სოფელ ოფურჩხეთში შესდგა ქუთაისის რაიონის მეჩაიე სტახანოველ კოლმეურნეთა შეკრება. შეკრებაზე სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ ინფორმაციით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის რაიკომის მდივანი ამხ. ამირანაშვილი. სიტყვებით გამოსულმა კოლმეურნეებმა, ერთსულოვნად მოიწონეს რა პარტიისა და მთავრობის ეს ისტორიული დადგენილება, კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს ცხოვრებაში მის გასატარებლად.

სოფ. ოფურჩხეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ჩაის მკრეფავმა სტახანოველმა ქალმა ამხ. კვიცარიძემ განაცხადა, რომ ყოველდღიურად 20 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს მოკრეფს. მან შეჯიბრებაში გამოიწვია კოლმეურნეობა „ბარიტის“ ჩაის მკრეფავი სტახანოველი ქალები.

კოლმეურნეობა „ბარიტის“ წევრთა სახელით საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ჯიშკარიანმა. მან მიიღო ამხ. კვიცარიძის გამოწვევა და განაცხადა, თვითეული კოლმეურნე საკარმიდამო ნაკვეთზე 30 ძირ მანდარინს გააშენებსო. ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ძოწენიძემ იკისრა ვალდებულება, რომ 10 პროცენტით გაადიდებს ჩაის მოსავალს.

ჩაის კულტურის შემდგომი განვითარებისა და მოსავლიანობის გადიდების მიზნით შეკრებამ შეჯიბრებაში გამოიწვია ტყიბულის რაიონი.

პირუტყვის გარეკვის წინ
(სიღნაღი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

საზაფხულო საძოვრებზე პირუტყვის გარეკვისათვის მზადება სიღნაღის რაიონში დროულად გაიშალა. პარტრაიკომმა და რაისაბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ამის გარშემო სპეციალური დადგენილება მიიღეს. შემუშავებულია გარეკვის კალენდარული გეგმა, შერჩეული არიან მწყემსები, კოლმეურნეობათა უმეტესობას მიცემული აქვს მათზე მიმაგრებული საძოვრების რუკები და სხვ.

წელს სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებს თრიალეთში, მთავარ კავკასიონის ქედსა და ხევსურეთში გადაცემული აქვთ 40.373 ჰექტარი საძოვარი. სიღნაღიდან ამ საძოვრებზე უახლოეს დღეებში გაირეკება 181. 800სული მარტო ცხვარი, 31.000 სულით მეტი, ვიდრე შარშან, აგრეთვე 1.000 ძროხა და სხვა მსხვილფეხა პირუტყვი. შარშან საზაფხულო საძოვრებზე ცხვარი დაგვიანებით გაირეკა, რამაც ზოგიერთ კოლმეურნეობაში ცუდი გავლენა მოახდინა ნამატის შენარჩუნებასა და მეცხვარეობის პროდუქტიულობის ზრდაზე. ამჟამად კი მიღებულია ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ ეს ნაკლოვანებანი წელს აღარ განმეორდეს.

საერთოდ სიღნაღის რაიონი შარშანდელთან შედარებით საზაფხულო საძოვრებზე პირუტყვის გარეკვას წელს უფრო მომზადებული ხვდება, მაგრამ არის ნაკლოვანებებიც. ზოგიერთმა კოლმეურნეობამ დროულად არ მოიმარაგა პირუტყვის გარეკვასთან დაკავშირებით საჭირო სურსათი, ტრანსპორტი და სხვ.

სოფ. ჯუგაანის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობას, საიდანაც ცხვარს მთაში 50 კაცი მიჰყვება, მწყემსების გასატანებლად 28 აპრილამდე მომარაგებული არ ჰქონდათ ხორბალი. 32 მწყემსს არ მიუღია გასულ წელს გამომუშავებულ შრომადღეებზე კუთვნილი ფული. 2400 სული მეწველი ცხვრისათვის აქ მხოლოდ 10 ვედრო მოუპოვებათ. პირუტყვის გარეკვისათვის მზადება სუსტად მიმდინარეობს აგრეთვე სოფ. ვაქირის ვოროშილოვის სახელობის, კალინინის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებში.

სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებს სომხეთის სსრ ამასის რაიონში სადახლოდარის მთაზე კარგა ხანია გადაცემული აქვს 869 ჰექტარი საძოვარი. ამ ტერიტორიაზე სოფ. ქვემო მაჩხაანის მახარაძის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებს აგებული აქვთ ცხვრის 6 ბინა. იქვე მოწყობილია ხელოვნური დათესვლის პუნქტის კაპიტალური შენობა. წელს ეს საძოვრები საქმიწსახკომის მეცხოველეობის სამმართველომ რატომღაც საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებს გადასცა, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებმა და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ამის შესახებ საკითხი საქმიწსახკომში დროულად დააყენეს, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ცხვრის გარეკვა უკვე დაიწყო, საბოლოო პასუხი მათ ჯერაც არ მიუღიათ.

ტ. აცანელი

საბჭოთა კავშირის გმირები სახელმწიფო უნივერსიტეტში

4 მაისს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს ესტუმრნენ ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, კორპუსის მეთაური ამხ. ს. დენისოვი, საბჭოთა კავშირის გმირები პოლკოვნიკი ამხ. ვ. ნანეიშვილი და უმცროსი ლეიტენანტი ამხ. კ. სიმონიანი.

დარბაზში მყოფნი სახელოვან გმირებს მქუხარე ოვაციით შეხვდნენ. გმირებს მიესალმა საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის მდივანი ამხ. რ. მოწერელია.

ამხ. ს. დენისოვმა, ვ. ნანეიშვილმა და კ. სიმონიანმა დამსწრეთ უამბეს ჩვენი წითელი არმიის გმირული ბრძოლების შესახებ.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის დოცენტი ამხ. ძიძიგური, რომელმაც გმირებს უნივერსიტეტის კოლექტივის სახელით უსურვა ჯანმრთელობა და გმირობის ახალი მაგალითების ჩვენება ჩვენი ბედნიერი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

დასასრულ ძვირფასი სტუმრების პატივსაცემად მოეწყო მხატვრული განყოფილება.

პარტიული ცხოვრება
სტალინირის პარტაქტივის კრება
(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში ქ. სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) სტალინირის პარტაქტივის კრება. კრებაზე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტისა და სტალინირის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ცხოვრებაშვილი.

ამხ. ცხოვრებაშვილი თავის მოხსენებაში დაწვრილებით შეჩერდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ გამოტანილ დადგენილებაზე — ცვლილებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადებისა და შესყიდვის პოლიტიკაში.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ი. ლომინეიშვილმა, ნ. მაკოევმა, ვ. ხეთაგუროვმა, მ. ბლიევმა, კ. ტრაპაიძემ და სხვ.

პარტიული აქტივის კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც მთლიანად და სავსებით იწონებენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის გადაწყვეტილებებს.

ფ. ინწკირველი

საქ. კ. პ. (ბ) საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმები
ქუთაისი
(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. ნარსიას მოხსენება ქუთაისის მრეწველობის 1940 წლის პირველი კვარტალის საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების შედეგთა შესახებ.

ამხ. ნარსიას მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ: ა. ჯიბლაძე, ა. მაჭარაძე, ს. რუხაძე, ნ. გაფრინდაშვილი და სხვ. სულ 14 კაცი.

პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილება ქუთაისის მრეწველობის 1940 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად.

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივნად კადრების დარგში დამტკიცებულ იქნა ამხ. ნ. კიკაჩეიშვილი.

გ. ყურაშვილი

ჭიათურა
(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის მეორე პლენუმი.

პლენუმმა პირველ საკითხად მოისმინა სტალინისა და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროების გეგმის შესრულების მიმდინარეობაზე მაღაროს დირექტორების ვ. გეწაძის და პ. გველესიანის მოხსენებები. ეს მაღაროები, მიუხედავად იმისა, რომ ყოველგვარი პირობები გააჩნიათ გეგმის შესრულებისათვის, ყველა მაღაროს ჩამორჩებიან, რაც იმის შედეგია, რომ აქ არ იბრძვიან ციკლური ბრიგადების დანერგვისათვის, მექანიზმები დაუტვირთავად მუშაობენ, სუსტად არის გაშლილი სტახანოვური მოძრაობა და სოციალისტური შეჯიბრება. ამის გამო პირველი კვარტალის გეგმა ამ მაღაროებში მხოლოდ 70 პროცენტით შესრულდა.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ნ. ლაბაძემ, ბ. გელბახიანმა, ს. ოთინაშვილმა და სხვებმა სასტიკად გააკრიტიკეს მაღაროს ხელმძღვანელთა მუშაობა.

პლენუმზე მეორე საკითხად მოსმენილ იქნა საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ამხ. ბ. მახათაძის მოხსენება რაიონში საპროპაგანდო-სააგიტაციო მუშაობის შესახებ. ამ საკითხის ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღო 5 ამხანაგმა.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის მდივანმა ამხ. ლ. ქორქოლიანმა, რის შემდეგ პლენუმმა ორივე საკითხის ირგვლივ მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი.

პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხი: საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის მდივნად კადრების დარგში დამტკიცებულ იქნა ამხ. შ. მეცხოვრიშვილი.

ლ. ლოლაძე

ტყიბული

ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მეორე პლენუმი. პლენუმმა განიხილა ორი საკითხი: 1940 წლის 1-ლ კვარტალში ქვანახშირის ამოღების გეგმის შესრულებისა და 1940 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

პლენუმმა პირველ საკითხზე მოისმინა ტყიბულქვანახშირის ტრესტის მმართველის ამხ. დ. ჩიკვაიძის მოხსენება.

ამხ. ჩიკვაიძის მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ფ. ნაჭყებიამ, პ. კაციტაძემ, ვ. ნანიკაშვილმა, შ. ცირეკიძემ, პ. ბაქრაძემ და სხვ.

სიტყვებით გამოსული ამხანაგები აკრიტიკებდნენ სტალინის სახელობის მაღაროს სამეურნეო და პარტიული ორგანიზაციების მუშაობას, აღნიშნავდნენ, რომ მაღაროში სუსტად არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება და სტახანოვური მოძრაობა.

მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა რაისაბჭოს აღმასკომის მიწგანის გამგე ამხ. ვ. კორძაძე. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. შ. დოლიძემ, ლ. კეთილაძემ, ს. ძნელაძემ, შ. დოლონაძემ, ა. ბაქრაძემ, ფ. ქასრაშვილმა ლ. ცქიფურიშვილმა და სხვ.

დასასრულ შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი ამხ. შ. ჭანუყვაძე. მოსმენილ მოხსენებათა გამო პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

ვ. შავგულიძე.

ქობულეთი
(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მორიგი პლენუმი, რომლის დღის წესრიგში იდგა 1940 წლის ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისა და გადამუშავებისათვის მზადების და ქობულეთის რაიონში პარტიული პროპაგანდის დაყენების საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ვ. დვალი, მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მეორე მდივანმა ამხ. ჯ. ბაკურიძემ. მოხსენებათა გამო კამათში მონაწილეობა მიიღო 17 ამხანაგმა.

პლენუმმა ორივე საკითხის გარშემო მიიღო სათანადო ღონისძიება. საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივნად კადრების დარგში პლენუმმა დაამტკიცა ამხ. მ. დარჩია.

ილ. სვანიძე

ო. ეგაძე

გმირი-მფრინავის საბრძოლო გზა

საბჭოთა კავშირის გმირი ვ. ნანეიშვილი

გორის ტექნიკუმის მოწაფემ ვლადიმერ ნანეიშვილმა საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობა მიიღო, მშობლიური ქალაქის ადგილებს თავისი ჭკვიანი თვალები შეავლო და სანატრელ ფიქრს მიეცა. გორელი ბიჭი გორის ბებერ ციხეზე იდგა და უცნაურ რამეზე ოცნებობდა.

ნეტავ იმ მყინვარწვერზე შემაფრინაო.

მალე სასიხარულო ამბავი გაიგო ვლადიმერმა: ამიერ-კავკასიის თავდაცვა-ავიაქიმი საავიაციო სასწავლებელში 15 ახალგაზრდას ჰგზავნისო... გასაგზავნთა შორის ვლადიმერ ნანეიშვილიც ჩარიცხეს.

მტკიცე ხასიათისა და ნებისყოფის მქონე ვლადიმერ ნანეიშვილი მალე შეეჩვია სამხედრო სკოლის ცხოვრებას. გულმოდგინედ დაეწაფა საფრენოსნო საქმეს და შეუპოვრად შეებრძოლა შინ დაბრუნების იდუმალ გრძნობას.

ახალგაზრდობის აღმზრდელ ინსტრუქტორებად მუშაობდნენ სამოქალაქო ომის ვეტერანები, რომლებსაც, თავგანწირვისა, გულადობისა და პრაქტიკული გამოცდილების გარდა, არავითარი აკადემიზმი არ ახასიათებდათ.

როცა ნანეიშვილმა სწავლის კურსი დაამთავრა, იგი საცდელი გაფრენისათვის გაიყვანეს.

ნანეიშვილმა მფრინავის ადგილი დაიკავა. შტურვალს ხელი ღონივრად ჩასჭიდა და ინსტინქტურად უკან მოიხედა, სადაც ჩვეულებრივ გამყოლი ინსტრუქტორი უნდა მჯდარიყო.

სტარტერმა მაღლა აწეული ბაირაღი დაიქნია, და ჭრიჭინა ურმის კოფოზე ჯდომასა და ზანტი კამეჩების ტაატით სიარულს შეჩვეულმა გორელმა მანქანას გაზი მისცა. დასნეულებულ მანქანას ჯერ ხველა აუტყდა, მერე ასიოდე მეტრი ასკინკილა გაირბინა, გაჭირვებით წელი აითრია და ჰაერში ავიდა.

○

მალე მფრინავი ნანეიშვილი ერთ-ერთ რაზმში ჩარიცხეს. იზრდებოდა ჩვენი ქვეყნის ძლიერება, იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა წითელი საბჭოთა ავიაცია და მასთან ერთად ვლადიმერ ნანეიშვილი.

1930 წელს ნანეიშვილი რგოლის უფროსია.

განვლო დრომ და ვლადიმერი კვლავ დააწინაურეს.

ორი წელიწადიც არ გასულა, რაც პოლკოვნიკი ვ. ნანეიშვილი ახალ ნაწილს მეთაურობდა. როცა იმპერიალისტების მიერ დანთებულმა ხანძარმა მშვიდობისმოყვარე საბჭოთა ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთის საზღვარზე იფეთქა, სარდლობამ პოლკოვნიკ ნანეიშვილს დაავალა გაენადგურებინა „მანერჰაიმის ხაზი“. ჭკვიანმა და მამაცმა პოლკოვნიკმა მრავალი წლის შრომით გაწვრთნილ საბრძოლო ეკიპაჟებს თვალი გადაავლო და პარტიისა და მთავრობის დაძახილს გამარჯვების რწმენით უპასუხა:

— არის, გავანადგუროთ „მანერჰაიმის ხაზი“.

○

პოლკოვნიკის კაბინეტში ტელეფონის ზარი გაისმა. ნანეიშვილმა სარდლობის ბრძანება მიიღო და საბრძოლო გაფრენისათვის ბრძანება გასცა.

აეროდრომზე ვერცხლისფერი ყუმბარმშენები იდგნენ. ნანეიშვილმა თბილი ჩაფხუტი მოირგო და განკარგულება გასცა:

— თვითმფრინავებზე!

სუსხიან ზამთარში გაყურჩებულ აეროდრომზე საბჭოთა გოროზ სწრაფმავალ ყუმბარმშენთა პროპელერები აგრიალდნენ და თოვლის კორიანტელი ააყენეს. ნანეიშვილმა გაყინული მანქანა მიწას ოსტატურად მოსწყვიტა და შორეული რეიდით გაემართა.

მალე სახელმწიფო საზღვარი უკან დარჩა და ქვევით მშფოთვარე ფინეთის უბე გამოჩნდა. ცაში მრისხანე ქარიშხალი მძვინვარებდა. პოლკოვნიკი წინ ვერას ხედავდა, მაგრამ მრავალი წლის განმავლობაში „ბრმა ფრენამ“ ახლა თავისი ნაყოფი გამოიღო. რამდენიმე საათის შემდეგ ნანეიშვილის რაზმი უკვე ფინეთის ტერიტორიაზე მიფრინავდა. ქვევით გაყინული ტბებისა და მდინარეების დაუსრულებელი სივრცე მოსჩანდა. დაბურული ტყეები ერთფეროვან და ძნელად გამოსაცნობს ხდიდნენ უცხო ლანდშაფტს.

პოლკოვნიკი გრძნობდა, რომ ადვილი არ იყო ასეთ ამინდში ჰაერში დიდხანს დარჩენა, მაგრამ ის და მისი ამხანაგები უკან დაბრუნებას ჩვეული არ იყვნენ. ნანეიშვილმა გაარღვია ღრუბლების ზღუდე და კურსი ქალაქ ჰელსინკისაკენ აიღო. მალე გარკვევით გამოჩნდა ჰელსინკის ქუჩები, ეკლესიათა გუმბათები და ქარხანათა მილები.

მტერმა შენიშნა საბჭოთა ყუმბარმშენები და გააფთრებული სროლა ასტეხა. სულ უფრო და უფრო ახლო სკდებოდნენ ყუმბარები ნანეიშვილის თვითმფრინავთან, რამდენიმე ნატეხი მოხვდა კიდეც თვითმფრინავს, მაგრამ მშვიდსა და გულად პოლკოვნიკს წარბშეუხრელად მიჰყავს ამხანაგები, იგი ჰელსინკის მოსახლეობას არ ემუქრება — მთელი ყურადღებით მიისწრაფვის სამხედრო ჰაეროდრომისაკენ.

საზენიტო ცეცხლმა იმატა. ნანეიშვილმა ხერხს მიმართა, ნახევარწრე შემოხაზა და ცეცხლის ხაზიდან გამოვიდა. შემდეგ ორასი მეტრის სიმაღლეზე დაეშვა და ჰელსინკის აეროდრომს გაუსწორდა.

— ყურადღება, მალე მიზანი იქნება! გაისმა ბრძანება. მსროლელებმა ყუმბარჩამომყრელს ხელი დააჭირეს და საბჭოთა ყუმბარები მზუილით დაეშვნენ ძირს — ანგარებზე, საწვავი მასალის და ამუნიციის საწყობებზე, საზენიტო და საარტილერიო წერტებზე.

კიდევ ორიოდე წამი და ჰელსინკის სამხედრო აეროდრომი ცეცხლის ალმა მოიცვა. ძნელია ითქვას, რაღა გადარჩა გაუნადგურებელი.

ნანეიშვილი მოხერხებულად მოტრიალდა და სანამ თეთრგვარდიელ ფინელების გამანადგურებლები გონს მოვიდოდნენ, კურსი საბჭოთა ქვეყნისაკენ აიღო. გახელებულმა მტრის თვითმფრინავებმა დაწევა სცადეს, მაგრამ ნანეიშვილის კოლექტიურმა და ორგანიზებულმა ცეცხლმა უკუაქცია შუცკორული მფრინავები.

თავის აეროდრომზე დაბრუნებულმა ნანეიშვილმა პირველ ბრძოლამოხდილ მამაც მფრინავებს გადახედა და სთქვა:

— ყოჩაღ ბიჭებო, ზორბად დავარტყით!

○

სისხამ დილით იწყებოდა ვლადიმერ ნანეიშვილის საბრძოლო დღე. წითელარმიელები ამაყობდნენ ნანეიშვილის მფრინავების მუშაობით. აურებელი სამადლობელი წერილები მოსდიოდა ნანეიშვილს ქვეითა ჯარის მებრძოლებისაგან. სიმამაცისა და მოხერხების გამოჩენისათვის სარდლობის არაერთი მადლობა მიიღო მან.

ქარბუქი და კორიანტელი იდგა კარელიის ყელზე. დავალების შესასრულებლად გაფრენილმა ესკადრილიამ ფინეთის ყურე ვერ გადალახა და უკან დაბრუნდა. შეწუხებული ესკადრილიის უფროსი მორიდებით წარსდგა პოლკოვნიკთან და მოახსენა:

— გარღვევა შეუძლებელია!

ნანეიშვილმა თვითონ იკისრა მეთაურობა და გაფრენა ბრძანა. მალე წითელი ესკადრილია ფინეთის ყურის სტიქიას ებრძოდა. მძვინვარე ქარიშხალი ნაფოტივით აქანავებდა თვითმფრინავებს, თოვლის კორიანტელი თვალთა ხედვას აძნელებდა. ფრენა სულ უფრო საძნელო ხდებოდა. ძლიერი მოტორები ჯიქურ მიაპობდნენ მანძილს მიუხედავად სასტიკი გრიგალისა და მიზანს უახლოვდებოდნენ. სამი საათის ფრენის შემდეგ მტრის ტერიტორია გამოჩნდა. ნაჩვევმა თვალმა მალე გაარჩია „მანერჰაიმის ხაზის“ გამაგრებული ადგილები. საზენიტო არტილერიამ ვერ დააბრკოლა საბჭოთა მფრინავების იერიში. ნანეიშვილმა თავისი ამხანაგებით დაბალი სვლით გადაიქროლა მტრის „დოტებზე“ და ყუმბარების მთელი მარაგი ამორჩეულ მიზანში დაუშვა. თითქოს დედამიწა ძირფესვიანად გადაბრუნდაო, ისეთი შთაბეჭდილება იყო.

სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით აღსავსე მფრინავები, შტურმანები, მსროლელები, ტექნიკოსები და მექანიკოსები აღზარდა პოლკოვნიკმა ვლადიმერ ნანეიშვილმა. მისი აღზრდილები ადვილად არავის ნებდებიან. ერთ ყუმბარმტყორცნის ეკიპაჟს მტრის გამანადგურებლები დაეცნენ. სახელოვანი სამეული თავგანწირვით იგერიებდა გააფთრებულ შუცკორებს. პირდაპირი მიზნით გასროლილმა ტყვიამ მტრის ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდო. მალე მას მეორეც მიჰყვა, მაგრამ მესამე ცაში ტრიალებდა. ამ დროს მსროლელი მძიმედ დაიჭრა. მანქანამ ასამდე ნახვრეტი მიიღო. გაჭირვებით იდგა ჰაერში. ყოველ წამს სისწრაფესა და სიმაღლეს ჰკარგავდა და მტრის ტერიტორიაზე დაშვება მოელოდა. ტყვედ ცოცხლად ჩავარდნის ფიქრით შეწუხებულმა მსროლელმა სისხლიდან დაცლილი ხელი რევოლვერს ჩასჭიდა, მაგრამ გაყინული ხელი არ დაემორჩილა. ორჯერ გასროლილი საკუთარი ტყვია ასცდა... მფრინავმა დიდი წვალებით შესძლო დაცხრილული თვითმფრინავის დაშვება თავის აეროდრომზე. დაბრუნებულ ეკიპაჟს პოლკოვნიკი ნანეიშვილი მიუახლოვდა და ფრთხილად ძირს გადმოიყვანა.

— რა მოხდა?

— არაფერი, ამხანაგო პოლკოვნიკო, — მიუგო დაჭრილმა, — ერთსა გთხოვთ მხოლოდ: გადაუხადოთ ჩემს მაგიერ თეთრფინელებს...

იმავე დღეს ნანეიშვილი მიფრინავდა მტრის გამაგრებულ ხაზზე, რომ ცეცხლის ალისათვის მიეცა მტრის ურდოები, რომლებმაც განგმირეს მისი გმირი მსროლელი. მოჰკლეს ლეიტენანტი ლევან ისათიანი. გმირულად იბრძოდნენ ნანეიშვილი და მისი თანამებრძოლები.

— ესეც თქვენ სადღეისო ნობათად, დანარჩენი შემდეგ იყოს, სულმდაბლებო! იმეორებდა ნანეიშვილი, როცა მისი ყუმბარები ნამსხვრევებად აქცევდნენ მტრის გამაგრებულ პუნქტებს.

◆

დაბადებიდან 100 წლისთავის გამო

პეტრე ილიას-ძე ჩაიკოვსკი

ჩაიკოვსკი და პუშკინი

ორი დიდი ადამიანის — კომპოზიტორისა და პოეტის სახელი ერთ მთლიან სახედ წარმოგვიდგება, როდესაც ვლაპარაკობთ მუსიკალური ხელოვნების ისეთ შესანიშნავ ნაწარმოებებზე, როგორიცაა „ევგენი ონეგინი" და „პიკის ქალი".

ჩაიკოვსკიზე, მისივე სიტყვით, ბავშვობაშივე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა პუშკინის სახეების პოეტურობამ; იგი აღტაცებული იყო პუშკინის ლექსის „მუსიკალობით", იმით, რომ პუშკინის შემოქმედება თვითეული ადამიანისათვის მისაწვდომი იყო.

და თვით ჩაიკოვსკიც, აღტაცებული იყო რა პუშკინით, ცდილობდა შეექმნა მუსიკაში ცხოვრების სიმართლის გამომხატველი, ღრმა და ფაქიზი გრძნობებით აღსავსე სახეები.

ჩაიკოვსკიმ ოპერა დაიწყო ტატიანას წერილის სცენით. ეს სცენა მისი ლირიკული აღმაფრენის უმაღლესი წერტილი იყო, მასში მან მუსიკით გადაგვიშალა ახლად გაფურჩქნული სიყვარულის მთელი ძალა, მთელი უშუალობა. „მე თუ აღმაფრენის ცეცხლი მწვავდა, როდესაც წერილის სცენას ვწერდი, — იგონებდა კომპოზიტორი, — ეს ცეცხლი დაანთო პუშკინმა და, გულახდილად უნდა გითხრათ, არა მოჩვენებითი თავმდაბლობით, არამედ სავსებით შეგნებულად, რომ თუ ჩემი მუსიკა შეიცავს იმ სილამაზის თუნდაც მეათედს, რაც თვით სიუჟეტშია, მე ძალიან ვამაყობ და კმაყოფილი ვარ ამით".

ჩაიკოვსკი დიდად ზრუნავდა იმაზე, თუ სცენიურად როგორ დაემუშავებინა პუშკინის რომანის მდიდარი, მრავალფეროვანი მასალა. ცხადია, ოპერის თვით ფორმას და მუსიკალური სცენის პირობებს უნდა შეეხოჭა კომპოზიტორი. მას შეეძლო ეჩვენებინა მომქმედ პირთა მხოლოდ პირადი დრამა, ისიც მხოლოდ ნაწილობრივ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად. ჩაიკოვსკიმ ასეც მოიმოქმედა, უწოდა რა თავის ნაწარმოებს არა ოპერა, არამედ „ლირიკული სცენები". მაგრამ დგებოდა მეორე, არანაკლებ მწვავე საკითხი — ნამდვილი ტექსტის დაცვის საკითხი.

„მე ვფიქრობ, — უპასუხებდა ჩაიკოვსკი შეკითხვაზე ასეთი ოპერის არასცენიურობის შესახებ, — რომ ყველა სცენიურ უხერხულობას ანაზღაურებს პუშკინის ლექსის მომხიბლავობა. მაგრამ ამის გამო მე მეზადება გაცილებით უფრო დიდი შიში, ვიდრე ის შიშია, რომ მაყურებლებს არ ექნებათ მწვავე ინტერესი გაიგონ მოქმედების განქვანძვა. მე ვლაპარაკობ იმ მკრეხელურ კადნიერებაზე, რომლითაც მე უნებლიეთ უნდა მიმემატებინა პუშკინის სტროფებისათვის ჩემი საკუთარი ან ადგილ-ადგილ ლიბრეტისტის სტროფები. აი რისა მეშინია, აი რა მაფიქრიანებს..."

პუშკინის სიუჟეტები კომპოზიტორს იზიდავდნენ „ონეგინის" შემდეგაც. იგი თავის ყურადღებას აჩერებს პუშკინის პოემა „პოლტავაზე".

ოპერა „მაზეპაში", რომელიც შექმნილია ამ პოემის ტექსტის მიხედვით, ჩაიკოვსკი ცენზურული პირობების გამო თავისი ყურადღების ცენტრში აყენებს მარიას პირად დრამას, მის ტრაგიკულ ბედს.

პ. ი. ჩაიკოვსკი პეტერბურგის კონსერვატორიის დამთავრების წლებში.

ამ ოპერაში ჩაიკოვსკიმ მოგვცა უდიდესი ძალის მთელი რიგი დრამატიული ეპიზოდები, რითაც ხელოვნების უმაღლეს მწვერვალებს მიაღწია.

რა საოცარი აღფრთოვანებით ჰქმნიდა ჩაიკოვსკი უკანასკნელ ოპერას პუშკინის სიუჟეტზე — „პიკის ქალს"! 44 დღეში დასწერა კომპოზიტორმა ურთულესი და მუსიკალური ფორმებით უმდიდრესი ნაწარმოები, რომელიც აღსავსეა სრულფასოვანი სახეებით, მომხიბლავი მელოდიებით. მის თვითეულ ფურცელს აზის ბეჭედი ნამდვილად განცდილი, ღრმა და მრავალგვარი გრძნობებისა — იმედისა, ეჭვისა, ვნებათა ღელვისა, იმედის გაცრუებისა, სულიერი მღელვარებისა ბედთან ბრძოლაში.

სიცოცხლისა და ადამიანებისადმი პუშკინის მგზნებარე სიყვარული საფუძვლად უდევს ჩაიკოვსკის ხელოვნებასაც, რომელმაც გენიალურად განახორციელა მუსიკაში პოეტის შემოქმედებითი მემკვიდრეობა, დაიცვა პუშკინის ძვირფასი ანდერძი — რეალიზმი და ხალხურობა.

პუშკინი — ნაციონალური და მსოფლიო პოეტი, ჩაიკოვსკი — ნაციონალური და მსოფლიო კომპოზიტორი — საბჭოთა ხალხის უსაყვარლესი მხატვრები არიან, რომლებიც მოგვიწოდებენ განუწყვეტელი წინსვლისაკენ, ადამიანის სრული ბედნიერებისაკენ.

ვას. იაკოვლევი

ჩაიკოვსკი და ქართული კულტურა

პ. ჩაიკოვსკი პირველად ჩამოვიდა თბილისში 1886 წლის აპრილში. ამ დროისათვის ქართული მუსიკალური კულტურა უკვე ჩამოყალიბებული იყო. მისი პიონერები იყვნენ ხარლამპი სავანელი, რომელმაც ჩაიკოვსკისთან ერთად 1865 წელს დაამთავრა პეტერბურგის კონსერვატორია, და ალოიზ მიზანდარი, შესანიშნავი პიანისტი, რომელიც 1864 წლიდან ლაიპციგში იღებდა მუსიკალურ განათლებას და 1867 წელს დაბრუნდა სამშობლოში.

ამ ორი ადამიანის თაოსნობით 1875 წელს თბილისში დაარსდა პირველი მუსიკალური სკოლა. 1882 წელს თბილისში ჩამოდის მ. იპოლიტოვ-ივანოვი, რომელიც აარსებს რუსეთის მუს. საზოგადოების განყოფილებას. მ. იპოლიტოვ-ივანოვმა ათ წელზე მეტი დაჰყო თბილისში და ამ დროის განმავლობაში დიდი მუშაობა ჩაატარა მუსიკალური განათლების განვითარებისათვის. გარდა ამისა, იგი რეგულარულად აწყობდა თბილისში სიმფონიურ კონცერტებს, რომელთა პირველი დირიჟორი თვითონვე იყო.

საერთოდ საქართველოს და, კერძოდ, თბილისის თეატრალურ ცხოვრებაში 80-იანი წლები დიდმნიშვნელოვანი წლები იყო. გაგარინის თეატრის შენობის დაწვის შემდეგ (1874 წ.) ახალი თეატრი გაიხსნა საინჟინერო ბაღში, სადაც 1879 წლიდან ქართული თეატრის მუდმივმა დასმაც დაიწყო რეგულარულად მუშაობა. 1882 წ. პირველად დაიდგა დავ. ერისთავის „სამშობლო" და 1883 წ. შექსპირის „ჰამლეტი". ორივე პიესაში დიდად გაითქვა სახელი ლადო მესხიშვილმა. 1881-1883 წლებში დიდი წარმატებით ჩატარდა იტალიიდან დაბრუნებული შესანიშნავი ბანის ფილიმონ ქორიძის გასტროლები და 1885 წელს დაარსდა ლადო აღნიაშვილის პირველი ქართული გუნდი.

და სწორედ ამ წლებში ჩამოვიდა თბილისში რუსი დიდი კომპოზიტორი პ. ჩაიკოვსკი. ამ დროისათვის იგი უკვე საკმაოდ ცნობილი კომპოზიტორი იყო, ავტორი ოპერებისა — „ევგენი ონეგინი", „ორლეანის ქალწული", „მაზეპა", რომლებიც მ. იპოლიტოვ-ივანოვის თაოსნობით იდგმებოდა კიდევაც თბილისში.

1886 წელს პ. ჩაიკოვსკის პირველი ჩამოსვლის შესახებ ვასო აბაშიძის ჟურნალ „თეატრში" ვრცელი წერილი დაიბეჭდა, სადაც სხვათა შორის სწერია:

„შაბათს, 19 აპრილს, თბილისის თეატრში გამართული იყო კონცერტი ძვირფას სტუმრის და რუსეთის მაღალნიჭიერ და გამოჩენილ კომპოზიტორის პეტრე ილიას-ძის ჩაიკოვსკის პატივსაცემად...

დანიშნულ დროზედ, საღამოს 8 საათზე, მთელი თეატრი ხალხით გაივსო და ყველანი მოუთმენლად მოელოდნენ საპატიო სტუმრის დანახვას. პ. ჩაიკოვსკისათვის მომზადებული იყო დირექტორის ლოჟა, რომელიც ამ შემთხვევისათვის მშვენივრად იყო მორთული დაფნის გირლიანდებით, ლირათი და ვენზელებით. თეატრის ფარდის ახდისთანავე პ. ჩაიკოვსკი ლოჟაში გამოჩნდა, ამ დროს მთელი საზოგადოება მობრუნდა პ. ჩაიკოვსკის ლოჟისაკენ და აღტაცებულის ტაშის კვრით განუცხადა თავისი თანაგრძნობა საპატიო სტუმარს. თვით სცენა ამ საღამოს მშვენიერ სურათს წარმოადგენდა; სცენაზე შეკრებილნი იყვნენ წარმომადგენელნი მუსიკისა და დრამატიულ ხელოვნებისა..."

მისასალმებელი სიტყვების წარმოთქმის შემდეგ დაიწყო კონცერტი.

„მონაწილეობას იღებდნენ ზარუდნაია, ლოდი, ყორღანოვი, გორსკი, ხორო და ორკესტრი იპოლიტოვ-ივანოვის ხელმძღვანელობით. კონცერტი გათავდა შუაღამეს და საზოგადოება დაიშალა..."

ასე ამთავრებს ჟურ. „თეატრი" ამ ღირსშესანიშნავ საღამოს აღწერას. აქ მოხსენებული მომღერალი ქალი ვ. ზარუდნაია — ლირიული სოპრანო, მ. იპოლიტოვ-ივანოვის მეუღლე იყო, ა. ლოდი — ცნობილი მომღერალი ტენორი და მუს. პედაგოგი, ა. ყორღანოვი „ბაიათის" ცნობილი ავტორი.

პ. ჩაიკოვსკი მეორედ ჩამოვიდა თბილისში 1887 წლის მაისში. ამჯერად მან მთელი ივნისი გაატარა ბორჯომში, სადაც მის ძმას ანატოლის აგარაკი ჰქონდა. პ. ჩაიკოვსკი ისვენებდა და თანაც ჰქმნიდა თავის მეოთხე სუიტა „მოცარტიანას".

პ. ჩაიკოვსკი თბილისში სულიერად და ფიზიკურადაც ისვენებდა. ამიტომ არის, რომ თითქმის ყოველწლიურად ჩამოდიოდა იგი თბილისში. 1889 წლის აპრილში თბილისში ყოფნის დროს მან დაამთავრა თავისი შესანიშნავი ბალეტა „მძინარე მზეთუნახავი". 1889 და 1890 წლებში პ. ჩაიკოვსკი ცხოვრობდა თავის ძმასთან ანატოლისთან კონსულის (ახლა ჩაიკოვსკის ქ.) ქ. № 14. ზოგი მკვლევარი სწერს, ვითომ ამ წლებში თბილისში ყოფნის დროს ჩაიკოვსკის დაეწეროს თავისი გენიალური ოპერა „პიკის ქალი", მაგრამ ეს არ შეეფერება სინამდვილეს. მისი ძმის მოდესტის ცნობით, „პიკის ქალის" შესახებ „პეტრე ილიას-ძემ არ იცოდა 1889 წლის შემოდგომამდე" და ამ წელს კი ჩაიკოვსკი თბილისში ცხოვრობდა მხოლოდ მაისამდე. შემდეგ, 1890 წლის 8 ივნისში ჩაიკოვსკიმ უკვე დაამთავრა ოპერა „პიკის ქალი" (ამ ოპერას იგი იტალიაში სწერდა), და მხოლოდ ამავე წლის სექტემბერში ჩამოვიდა იგი თბილისში.

1890 წელს თბილისელები თითქოს გრძნობდნენ, რომ ჩაიკოვსკი აღარ ჩამოვიდოდა საქართველოში, და საუცხოო პატივი სცეს მას. 15 ოქტომბერს საოპერო თეატრში დაიდგა „ევგენი ონეგინი". მეორე აქტის შემდეგ ჩაიკოვსკის დიდი ოვაციები გაუმართეს. 20 ოქტომბერს თვითონ პ. ი. ჩაიკოვსკი დირიჟორობდა თავისი საკუთარი ნაწარმოებებიდან შემდგარ სიმფონიურ კონცერტს. ამავე წელს მოხდა ქართული მუსიკის მოღვაწის ზ. ჩხიკვაძის შეხვედრა ჩაიკოვსკისთან, რომელსაც ზ. ჩხიკვაძე აღწერს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში". (1915 წელი).

პ. ჩაიკოვსკი ძალიან დაინტერესებული ყოფილა ქართული ხალხური სიმღერებით და ზ. ჩხიკვაძემ თავისი ხელნაწერი ნოტები მიუტანა და დაუტოვა კიდევაც მას. როდესაც ჩაიკოვსკი გაეცნო მთელ რიგ ქართულ ხალხურ სიმღერებს („ვაი შენ ჩემო თეთრო ბატო", „საწყალსა გლეხსა" და სხვ.), მას გაუკვირდა, რომ ქართველებს „ამისთანა მარტივი, სადა, მაგრამ დიდი გრძნობის გამომთქმელი მრავალხმოვანი სიმღერები აქვთო", და იკითხა „ნუ თუ მართლა ეს სიმღერები ხალხის გულიდან არის ამონადუღიო?" შემდეგ ჩაიკოვსკის უთქვამს: „თუ ჩემი ძმა დარჩა დიდხანს აქ და თუ მომაცალეს და გამომიშვეს, მე თვითონ მინდა მოვვლო ყველა კუთხე საქართველოსი და დავსტკბე თქვენი სიმღერა-გალობის თავისებურობითა... აი რა შეიძლება გაკეთდეს ამ მცირე მასალიდანაც კი, რომლის მელოდიებიც ახლაც ყურში მიდგას. სთქვა ეს, მივიდა როიალთან, ჯერ ნაზად ჩაუხმატკბილა, მერე გაჰკრა-გამოჰკრა კლავიშებს და ცეცხლი მოუკიდა როიალს... ერთ ალაგას უცებ შესწყვიტა, მერე ჩუმად დაუკრა „თამარ მეფე", მოაბაზედ „მუმლი მუხასა" და ისევ იგივე ციებცხელება შეჰყარა როიალის კლავიშებს... მირჩევდა, ეცდილიყავით ქართველები, რამდენადაც შესაძლებელი იყო, რომ გაგვეცნობებინა ჩვენი ეროვნული მუსიკა ყველა განათლებულ ქვეყნებისათვის, რომ მით დაგვენახვებინა, თუ როგორია ჩვენი მუსიკა და იქნებ მათი დახმარებით, თუ ჩვენ ვერ შევძლებდით, განვითარებულიყო და სასურველ ნიადაგზე დამდგარიყო ჩვენი მართლაც ორიგინალური მუსიკაო", ასე დასძენს ზ. ჩხიკვაძე.

ჩაიკოვსკის მუსიკის ცნობილი მკვლევარი ა. ბუდიაკოვსკი სწერს ბალეტების „მძინარე მზეთუნახავის" და „შჩელკუნჩიკის", აგრეთვე ოპერა „იოლანტას" შესახებ, რომ „ჩაიკოვსკის შემოქმედების უკანასკნელ პერიოდში ნათელი და გულმხიარული განწყობილების ნაწარმოებთა გამოჩენა საგონებელში გვაგდებსო". იგი ვერ მიმხვდარა, რომ ასეთი ნათელი, მხიარული და ცხოვრების მოყვარული ნაწარმოებების შექმნა ჩაიკოვსკის შეეძლო მხოლოდ მზიან საქართველოში, რითაც ჩვენმა ქვეყანამ თავისი წვლილი შეიტანა კიდევაც გენიალური კომპოზიტორის შემოქმედებაში.

რაც შეეხება პ. ჩაიკოვსკის სურვილს, რომ ჩვენი მუსიკა „განვითარებულიყო და სასურველ ნიადაგზე დამდგარიყო", ეს მისი სურვილი განახორციელა პ. ჩაიკოვსკის მოწაფის სერგეი ივანეს-ძე ტანეევის მოწაფემ ზაქარია ფალიაშვილმა თავისი გენიალური ოპერით „აბესალომ და ეთერი", რომლის დადგმამ დიდ თეატრში მთელი მოსკოვი აღტაცებაში მოიყვანა.

შალვა ალხაზიშვილი

დიდი რუსი კომპოზიტორი

მუსიკის გენიალურმა ოსტატმა და შესანიშნავმა რეალისტმა მხატვარმა ჩაიკოვსკიმ თავის ვრცელ შემოქმედებაში სრულად და ყოველმხრივ გამოჰხატა XIX საუკუნის რუსეთის ცხოვრება მთელი მისი მრავალფეროვანებით. რუსი ხალხის დიდი კომპოზიტორის მუსიკალურ შემოქმედებას საფუძვლად უდევს მუსიკალური აზროვნების რუსული, ხალხური თვისება. მისი „წლის დროონი" — ეს მუსიკალური ფერწერაა, რომელიც ნათლად გვიხატავს ნამდვილი რუსული ცხოვრების ღრმა ლირიულ სურათებს. ამასთან ერთად ჩაიკოვსკის შემოქმედება, როგორც მაღალმხატვრული მოვლენა, გასაგებია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა ხალხთათვის. კომპოზიტორის მუსიკალური შემოქმედება მდიდარია მაღალი იდეურობით, შინაარსით, უაღრესი გულწრფელობით, უშუალობით და აზრის სიღრმით. მისი ნაწარმოებები, როგორიცაა „მეექვსე პათეტიური სიმფონია", „რომეო და ჯულიეტა", „პიკის ქალი" წარმოადგენენ უბადლო ოსტატობის მარგალიტებს. მუსიკის უბრალოება, სინათლე და სითბო ხიბლავს ყველას და ყველგან. ამ თვალსაზრისით ჩაიკოვსკის შემოქმედებითი მემკვიდრეობა უაღრესად ინტერნაციონალურია.

ჩაიკოვსკი მთელი თავისი არსებით დაინტერესებული იყო ისტორიით, ხალხის ყოფა-ცხოვრებით და ბუნებით.

ჩაიკოვსკი ჩვენთვის ძვირფასია აგრეთვე იმით, რომ ის არის თითქმის ერთადერთი კომპოზიტორი, რომელიც ქმნიდა არა ერთი მუჭა „რჩეულთათვის", არამედ ყველა ასაკის ფართო მასებისათვის, მათი განვითარების შესაბამისად.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ჩვენი სამშობლოს ხალხებს მისცა ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური მათი კულტურის აყვავების განუზომელი შესაძლებლობა. მეცნიერების, ტექნიკისა და მუსიკის ყველა ხალხთა, პირველ რიგში დიდი რუსი ხალხის შესანიშნავ ადამიანთა შემოქმედება სსრ კავშირის ყველა ხალხთა საერთო საკუთრებად გადაიქცა.

პირადად მე, როგორც კომპოზიტორი, ჩაიკოვსკის შემოქმედების ერთერთი ერთგული თაყვანისმცემელი ვარ. ხალხური მუსიკალური ენის ურყევ საფუძველზე თავისუფალი შემოქმედებითი ფანტაზიის განვითარების პრინციპი მე ჩაიკოვსკისაგან შევითვისე.

ჩაიკოვსკის შემოქმედება უძვირფასესი მასალაა ახალგაზრდა ნაციონალური კადრების — კომპოზიტორების, მუსიკოსებისა და არტისტების აღსაზრდელად. დიდი რუსი ხალხის მადლიერი მთელი საბჭოთა კავშირის ხალხები შეისწავლიან მის კულტურას და ამ კულტურის ნიმუშებზე წასწევენ წინ ფორმით ნაციონალურ და შინაარსით სოციალისტურ საბჭოთა კულტურას.

უზეირ ჰაჯიბეკოვი

სსრკ სახალხო არტისტი, ორდენოსანი,
სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

„თავადი ვოლკონსკი"

გენიალური რუსი კომპოზიტორი პეტრე ილიას-ძე ჩაიკოვსკი მოგზაურობდა რუსეთში, ფართოდ ეცნობოდა ხალხის ცხოვრებას, მის ჩვევებს, თავისი სამშობლოს ბუნებას. ყოველივე ეს მისი შემოქმედების დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენდა.

თვითმპყრობელობა არა თუ არავითარ დახმარებას არ უწევდა ხელოვანს მისი შემოქმედებითი მონაფიქრის განხორციელებაში, არამედ, პირიქით, მთელ რიგ დაბრკოლებებს უქმნიდა მას.

ერთხელ პ. ი. ჩაიკოვსკის უკრაინის პროვინციაში ერთერთ საფოსტო სადგურზე სუმასა და ვორონეჟს შუა ასეთი ამბავი შემთხვა. სადგურის ზედამხედველმა კატეგორიული უარი უთხრა ეტლის მიცემაზე. გულმოსულმა კომპოზიტორმა მოითხოვა საჩივრის წიგნი და შიგ საჩივარი ჩასწერა. საჩივრის ქვეშ მან ასეთი ხელმოწერა გააკეთა: „კამერ-იუნკერი თავადი ვოლკონსკი". ეს საკმარისი გახდა იმისათვის, რომ 15 წუთის შემდეგ თვითონ უფროსი გულგახეთქილი გამოცხადებულიყო მასთან და მოეხსენებინა, რომ ეტლი მზად არის. ვოროჟის სადგურზე კომპოზიტორმა შენიშნა, რომ საჩივრის წიგნთან დარჩენოდა საფულე, რომელშიაც ინახებოდა მისი პასპორტი და სავიზიტო ბარათი. საბედნიეროდ, სადგურის ზედამხედველს „თავადის" საფულეში ჩახედვა ვერ გაებედნა".

ეს საგულისხმო შემთხვევა დამახასიათებელია ძველი ჩინოვნიკური რუსეთის ჩვევებისათვის. გენიალურ კომპოზიტორ ჩაიკოვსკიზე უფრო მეტი გასავალი ჰქონდა ვიგინდარა „თავადის" გამოგონილ გვარს.

ამოღებულია **ი. ლაპონოგოვის** წერილიდან „ასე მუშაობდა პ. ი. ჩაიკოვსკი".

ოპერა „ევგენი ონეგინი", მუსიკა ჩაიკოვსკის. **სურათზე:** მე-2 მოქმედების პირველი სურათი. სსრ კავშირის ლენინის ორდენის აკადემიური დიდი თეატრის დადგმა.

საკდესის ფოტოკლიშე.

პ. ხუჭუა

გენიალური კომპოზიტორი

პეტრე ილიას-ძე ჩაიკოვსკის ღირსეული ადგილი უკავია როგორც რუსეთის, ისე მსოფლიო მუსიკალურ ხელოვნებაში. ჩაიკოვსკიმ, როგორც კომპოზიტორმა, პირველ გამოსვლისთანავე დიდი ყურადღება მიიპყრო და ინტერესი მისი შემოქმედებისადმი დღითი-დღე იზრდებოდა. ჩაიკოვსკის პოპულარობა განსაკუთრებით გაიზარდა დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როდესაც შრომელთა ფართო მასებს განუსაზღვრელი საშუალება მიეცათ გასცნობოდნენ როგორც საზოგადოდ მუსიკის ხელოვნებას, ისე ამ გენიალური კომპოზიტორის უკვდავ ნაწარმოებებს. ბუნებრივია ის დიდი ყურადღება, რომლითაც საბჭოთა კავშირის ხალხები ეცნობიან პ. ი. ჩაიკოვსკის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

დიდი რუსი ხალხი სამართლიანად ამაყობს ისეთი კომპოზიტორებით, როგორიცაა: გლინკა, დარგომიჟსკი, ბოროდინი, მუსორგსკი, რიმსკი-კორსაკოვი, გლაზუნოვი და სხვ. მაგრამ არცერთი მათგანი არ იყო ისე საქვეყნოდ ცნობილი, როგორც ჩაიკოვსკი. მის ნაწარმოებებს იცნობენ მთელ მსოფლიოში. მთელ რიგ ქვეყნებში არსებობს „ჩაიკოვსკის საზოგადოებები", სადაც გულდასმით სწავლობენ და ასრულებენ მის ნაწარმოებებს.

რით აიხსნება ჩაიკოვსკის ასეთი პოპულარობა? უპირველეს ყოვლისა მით, რომ ის უდიდესი მელოდისტია. მთელი მისი შემოქმედება გაჯერებულია მელოდიურობით, მღერადობით, რომლის ღრმა ფესვები კომპოზიტორის ნათელ შემოქმედებითს ინდივიდუალობასა და ხალხურ მუსიკაში უნდა ვეძიოთ. ჩაიკოვსკის უყვარდა რუსული ხალხური სიმღერა, რომელშიაც ხალხმა გამოჰხატა თავისი სევდა და მწუხარება, თავშეკავებული მრისხანება და სიხარულის ბუნებრივი გრძნობა. უნდა ითქვას, რომ ჩაიკოვსკი არასდროს არ იყენებდა ხალხურ მუსიკალურ მასალას, როგორც „ციტატას", მისი ხელოვნურად ჰარმონიზებისა და გაორკესტრების მიზნით. მან შესძლო ხალხური მუსიკის გამოყენებასთან ერთად საკუთარი მუსიკალური ენის გამომუშავება, რომელიც ადვილი გამოსარჩევია თავისი განსაკუთრებული, წმინდა ჩაიკოვსკისებური ელფერით, უდიდესი მიმზიდველობით, გულწრფელობით და ადამიანზე უშუალო ზეგავლენის ძალით. ჩაიკოვსკი აღიზარდა რუსული და ევროპული მუსიკალური კულტურის საუკეთესო ტრადიციებზე, აითვისა მაღალი ევროპული საკომპოზიციო ტექნიკა და ნაციონალურ-მუსიკალური მასალის დამუშავებისას მისი ფართო გამოყენებით საპატიო ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიო გამოჩენილ კომპოზიტორთა შორის.

პეტრე ილიას-ძე ჩაიკოვსკი დაიბადა 1840 წ. 7 მაისს (ძვ. სტილით 25 აპრილს) ყოფ. ვიატკის გუბერნიაში, ვოტკინსკში. მამა მისი იყო ვოტკინსკის ქარხნის დირექტორი. დაწყებითი სწავლა პ. ი. ჩაიკოვსკიმ სახლში მიიღო. 1850 წლისათვის მისი მამა გადაიყვანეს ტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორად პეტერბურგში, სადაც 10 წლის პეტრე მიაბარეს სამართლისმცოდნეობის სასწავლებელში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ჩაიკოვსკიმ დაიწყო სამსახური იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტში მაგრამ ბავშვობიდანვე მუსიკისადმი მისწრაფებამ თავისი გაიტანა: 1862 წელს ჩაიკოვსკი შედის პეტერბურგის ახლად გახსნილ კონსერვატორიაში და სამუდამოდ სწყვეტს კავშირს „ჩინოვნიკურ" სამსახურთან.

კონსერვატორიაში შესვლისთანავე იგი მტკიცედ დაადგა მუსიკალური პროფესიონალიზმის გზას, რამშიაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პეტერბურგის კონსერვატორიის დამაარსებელმა, გამოჩენილმა პიანისტმა და კომპოზიტორმა ანტონ რუბინშტეინმა. ჩაიკოვსკისთან ერთად ამ დროს პეტერბურგის კონსერვატორიაში სწავლობდა ჩვენი ცნობილი თანამემამულე ხარლამპი სავანელი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული მუსიკალური კულტურის წინაშე, როგორც პირველ განათლებულ ქართველ მუსიკოსს, ქართული გუნდის პირველ ხელმძღვანელს და პირველი სამუსიკო სკოლის დამაარსებელს.

1866 წელს, კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, ჩაიკოვსკი მიიწვიეს მოსკოვში ახლადგახსნილი კონსერვატორიის მასწავლებლად. პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, აქ ფართოდ გაიშალა ჩაიკოვსკის შემოქმედებითი ნიჭი. მოსკოვში, 1868 წელს პირველად იქნა შესრულებული მისი პირველი სიმფონია, აქ დაიდგა მისი პირველი ისტორიულ - საყოფაცხოვრებო ოპერა „ვოევოდა" და აქვე დაიწყო მან თავისი მუსიკალურ-კრიტიკული მოღვაწეობა.

1877 წელს ჩაიკოვსკიმ გადაიტანა მძიმე ნერვიული ავადმყოფობა, მაგრამ შვეიცარიაში გამგზავრებამ და იქ დასვენებამ მალე დაუბრუნა კომპოზიტორი შემოქმედებითს მუშაობას. ამ დროიდან მრავალი წლის განმავლობაში მას დიდ დახმარებას უწევდა მისი შემოქმედების თაყვანისმცემელი მდიდარი ნადეჟდა ფილარეტის ასული ფონ-მეკი, რომელსაც პირობის თანახმად ერთხელაც არ შეხვედრია ჩაიკოვსკი. მთელი ცამეტი წლის განმავლობაში ისინი მხოლოდ მიწერ-მოწერით იყვნენ დაკავშირებულნი. სამი ტომი ამ მიწერ-მოწერისა ძვირფას მასალას წარმოადგენს კომპოზიტორის ცხოვრებისა და შემოქმედების გასაცნობად.

გადატანილი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ჩაიკოვსკი თავს ანებებს პედაგოგიურ მოღვაწეობას და იწყებს მოგზაურობას დასავლეთ ევროპისა და რუსეთის სხვადასხვა ქვეყნებში. 1891 წელს იგი ამერიკასაც ესტუმრა, ხოლო 1893 წელს, ინგლისში მან კემბრიჯის უნივერსიტეტში მუსიკის დოქტორის ხარისხი მიიღო.

ჩაიკოვსკი რამდენჯერმე საქართველოსაც ეწვია. იგი მეტად კმაყოფილი და ნასიამოვნები რჩებოდა იმ თბილი და გულწრფელი მიღებით, რომლითაც მას ხვდებოდა თბილისის იმდროინდელი საზოგადოება. „ტფილისს გატაცებით უყვარდა პეტრე ილიას-ძე, — სწერს თავის მოგონებებში ცნობილი კომპოზიტორი და მუსიკალური მოღვაწე მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვი — და იგი სამაგიეროსაც უხდიდა. თბილისი, მისი თქმით მას საყვარელ ფლორენციას მოაგონებდა და არსად ისე კარგად და დამოუკიდებლად არ გრძნობდა თავს, როგორც იქ ყოფნის დროს. განმარტოებით სეირნობა უდიდეს სიამოვნებას გვრიდა მას; ამ დროს იგი განსაკუთრებით ადვილად მოიფიქრებდა და სთხზავდა თავის უკანასკნელ ნაწარმოებებს. თბილისში ჩაისახა „მძინარე მზეთუნახავი", „იოლანტა", „პიკის ქალი" და ხშირად მათზე მესაუბრებოდა". თბილისში ყოფნისას ჩაიკოვსკი გაეცნო ქართულ ხალხურ სიმღერებს და ერთი მათგანი — „იავნანა" — იმდენად მოეწონა, რომ ჩასწერა და შემდეგ ოსტატურად დაამუშავა თავის ბალეტ „შჩელკუნჩიკში".

1893 წ. 19 აგვისტოს ჩაიკოვსკიმ დაამთავრა თავისი გენიალური ნაწარმოები IV სიმფონია. იმავე წლის 16 ოქტომბერს იგი შესრულებულ იქნა ავტორის მიერ, ხოლო ცხრა დღის შემდეგ, 25 ოქტომბერს ელვის სისწრაფით გავრცელდა ცნობა გენიალური კომპოზიტორის გარდაცვალების შესახებ.

ჩაიკოვსკიმ დასტოვა მდიდარი მუსიკალური მემკვიდრეობა. თავისი მაღალმხატვრული ნაწარმოებებით მან საპატიო ადგილი მოუპოვა რუსულ მუსიკას მსოფლიო მუსიკალური კულტურის საგანძურში. საყოველთაოდ ცნობილია მისი შესანიშნავი ნაწარმოებები, როგორიცაა: ექვსი სიმფონია (მეშვიდე — „მანფრედი"), სამი სიუიტა, „მოცარტიანა" (მეოთხე სიუიტა), სიმფონიური პოემები, — უვერტიურები და ფანტაზიები: „ქარიშხალი", „ფატუმი", „რომეო და ჯულიეტა", „ფრანჩესკა რიმინელი", „ჰამლეტი" და სხვ. ოპერები: „ოპრიჩნიკები", „ჩერევიჩკები", „ევგენი ონეგინი", „ორლეანელი ქალი", „მაზეპა", „იოლანტა", „პიკის ქალი" და სხვ. სამი ბალეტი: „მძინარე მზეთუნახავი", „გედის ტბა" და „შჩელკუნჩიკი", სამი საფორტეპიანო, ერთი სავიოლინო კონცერტი, ვარიაციები ჩელოსათვის „როკოკოს" თემაზე, სერენადა სიმებიანი ორკესტრისათვის, კამერულ - ინსტრუმენტალური და ვოკალური მუსიკის სფეროდან — ოთხი სიმებიანი კვარტეტი, ტრიო, საფორტეპიანო სონატა, წვრილი პიესები ფორტეპიანოსა და ვიოლინოსათვის, რომანსები, დუეტები და სხვ. კანტატები, შერეული და წმინდა საგუნდო ნაწარმოებები. არ დარჩენილა მუსიკის თითქმის არც ერთი ჟანრი, რომელსაც არ შეხებოდა ჩაიკოვსკი და ზედ თავისი გენიალობის ბეჭედი არ დაემჩნია. იგი ბევრსა და გატაცებით სწერდა, მაგრამ უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით ეპყრობოდა თავის ნაწარმოებთა მხატვრულ-იდეურ მხარეს.

მრავალი წლების განმავლობაში ჩაიკოვსკის უყურებდნენ, როგორც უიმედობის, სასოწარკვეთილების, ბრმა „ბედისწერისადმი" სრული დამორჩილების გამომხატველ კომპოზიტორს. მის მუსიკაზე მსჯელობდნენ, როგორც „დაცემულობის", „უიმედო პესიმიზმის" გამომხატველ ხელოვნებაზე. თუ მართლაც ასეთია ჩაიკოვსკის შემოქმედება, მაშ რით აიხსნება, რომ ჩვენი ქვეყნის, ბედნიერი ეპოქის ხალხები დიდად აფასებენ მის ნაწარმოებებს?

ჩაიკოვსკი წარმომადგენელია რუსეთის XIX საუკუნის მეორე ნახევრის იმ დეკლასირებული თავადაზნაურული ინტელიგენციისა, რომელიც ერთის მხრივ გრძნობდა ძველი ფეოდალური წყობილების რღვევის ისტორიულ აუცილებლობას, ხოლო მეორეს მხრივ მთლიანად ვერ ურიგდებოდა რუსული სამრეწველო კაპიტალიზმისა და მის მიერ გამოწვეული ახალი სოციალურ-ეკონომიური პირობების განვითარება - განმტკიცებას. ჩაიკოვსკის, იდეალისტური მსოფლმხედველობის პოზიციებზე მდგომს, ვერ აეხსნა ის ღრმა სოციალური მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს ძველი წყობილების ნგრევა და ახლის განვითარება. ყოველივე ეს კომპოზიტორში იწვევს მსოფლმხედველობის კრიზისს, რომლის ასახსნელად იგი ბედისწერას, ფატუმს, მეტაფიზიკურ ცნებას მიმართავს. ეს ბედისწერა — ბრმა, დაუნდობელი და ყოვლის შემძლე ძალა, ჩაიკოვსკის წარმოდგენით სწამლავს ყოველგვარ სიხარულს, სინათლისაკენ, მზისაკენ, ბედნიერებისაკენ მისწრაფებას. ეს აზრი კომპოზიტორს განსაკუთრებული სიმკვეთრით აქვს გამოთქმული თავის მეოთხე სიმფონიაში.

ჩაიკოვსკი შეეცადა თავი დაეღწია ულმობელი ბედისწერისაგან და გაერია ხალხის უდარდელ მხიარულებაში (IV სიმფონიის ფინალი). მაგრამ განწირულობის იდეებით მოწამლული შეგნება კვლავ უბრუნდება ბედთან შებრძოლების ცდას, ატარებულს მეხუთე და მეექვსე სიმფონიებში, რაც უკანასკნელში ბედისადმი სრული დამორჩილებით თავდება. ჩაიკოვსკის კრიტიკოსები სამართლიანად აღნიშნავენ რომ მისი პესიმიზმი არის არა პასიურობისა და უნებისყოფობის, არამედ თავისებური „მამაცური პესიმიზმი". ჩაიკოვსკიმ იცის, რომ ამ უთანასწორო ბრძოლაში იგი საბოლოოდ ვერ გაიმარჯვებს, მაგრამ ფარხმალს არა ჰყრის, გაშმაგებით ებრძვის და პასიურად არ ნებდება ამ ბრმა ძალას, ბედისწერად წოდებულს. პ. ჩაიკოვსკი გვევლინება, როგორც ფსიქოლოგიური რეალიზმის უდიდესი წარმომადგენელი, რომელმაც გადაგვიშალა მდიდარი ემოციური სამყარო და, ამავე დროს, შესძლო მუსიკის საშუალებით სიკვდილ - სიცოცხლისა და სიყვარულის ღრმა ფილოსოფიური პრობლემების მხატვრული ასახვა. ამიტომაა, რომ მის ნაწარმოებებს ტურგენევის, ტოლსტოის, დოსტოევსკისა და ჩეხოვის ზოგიერთ მნიშვნელოვან თხუზულებათა რიგში აყენებენ. თავისი სიმფონიური ნაწარმოებებით ჩაიკოვსკი გვევლინება როგორც მსოფლიო მნიშვნელობის სიმფონისტი, რომლის სახელთან დაკავშირებულია რუსული და ევროპული სიმფონიზმის შემდგომი განვითარება.

ჩაიკოვსკის ოპერა წარმოადგენს მეორე უმნიშვნელოვანეს დარგს, რომელშიაც მან შეჰქმნა მთელი რიგი უკვდავი ნაწარმოებები. მისი ათი ოპერიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ევგენი ონეგინი", „მაზეპა", „იოლანტა" და „პიკის ქალი". ეს უკანასკნელი ფსიქოლოგიური განცდების სიღრმისა, გადმოცემის სიძლიერისა და რეალისტურობის მხრივ შეუდარებელ მუსიკალურ ტრაგედიათაა ცნობილი მსოფლიო საოპერო ლიტერატურაში. ოპერაში ჩაიკოვსკის პირველ რიგში აინტერესებდა ნამდვილი ცოცხალი ადამიანები და მათი ნამდვილი ადამიანური განცდები. თავისი ოპერებისათვის მას აინტერესებს უაღრესად ემოციური მომენტები, ნამდვილი ადამიანები და მათი განცდები, რათა ოპერა გასაგები იქნეს მასისათვის. იგი დიდ მოთხოვნილებას უყენებს ოპერის კომპოზიტორს, ვინაიდან „ოპერას ის უპირატესობა აქვს, რომ იძლევა მასების ენით ლაპარაკის საშუალებას. ოპერა და მხოლოდ ოპერა განათესავებთ ადამიანებს, ანათესავებს თქვენს მუსიკას ნამდვილ ხალხს", ამბობს ჩაიკოვსკი.

მისი ნაწარმოებების ყოველი სტრიქონი გამთბარია და გაჯერებულია კომპოზიტორის პირადად განცდილი და გულის სიღრმეში მომწიფებული გრძნობებით. ამიტომაა, რომ რუსეთის დიდი მწერლები ძლიერ აფასებდნენ ჩაიკოვსკის შემოქმედებას. ლ. ნ. ტოლსტოი სწერდა ჩაიკოვსკის: „მე არასდროს არ მიმიღია ასეთი ძვირფასი საჩუქარი ჩემი ლიტერატურული შრომებისათვის, როგორც ეს შესანიშნავი საღამო". ასევე იხსენიებენ ჩაიკოვსკის მუსიკას ჩეხოვი, დრამატურგი ა. ნ. ოსტროვსკი და სხვ. ცნობილია, რომ **ვ. ი. ლენინის** ერთერთ საყვარელ ნაწარმოებს წარმოადგენდა ჩაიკოვსკის „ბარკაროლა", რომლის შესრულების შემდეგ გენიალური ბელადი მქუხარე ტაშს უკრავდა და მოითხოვდა მის განმეორებას. მ. ულიანოვას სახელზე თავის წერილში ჩაიკოვსკის მეექვსე სიმფონიის შესახებ ლენინი სწერს: „ამას წინათ პირველად ვიყავით ამ ზამთარში კარგ კონცერტზე და დავრჩით მეტად კმაყოფილნი განსაკუთრებით ჩაიკოვსკის მეექვსე სიმფონიით".

ჩაიკოვსკის, როგორც კომპოზიტორის მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო, რომ მისი მუსიკის გავლენის ქვეშ მოექცა მრავალი კომპოზიტორი: რიმსკი - კორსაკოვი, ტანეევი, გლაზუნოვი, სკრიაბინი, მეტნერი, არენსკი, რახმანინოვი და სხვა. ჩაიკოვსკის ეს გავლენა საბჭოთა კომპოზიტორებმაც განიცადეს: მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვმა, მიასკოვსკიმ, გლიერმა, ქართველმა კომპოზიტორმა შ. თაქთაქიშვილმა და სხვ.

ჩაიკოვსკის მრავალმხრივი და მდიდარი მუსიკალური მემკვიდრეობა მოითხოვს ღრმა და ყოველმხრივ შესწავლას. ამ მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისება და მისი პროგრესიულ, მაღალმხატვრულ მიღწევათა გამოყენება ხელს შეუწყობს ჩვენი საბჭოთა მუსიკალური კულტურის შემდგომ ზრდასა და განვითარებას.

მოკავშირეთა დიდი დამარცხება

(უცხოეთის დეპეშების მიმოხილვა).

ინგლის-საფრანგეთის ჯარების სასწრაფო უკან დახევა შუა ნორვეგიიდან.—ნორვეგიის ჯარის სარდლის ბრძანება.—ინგლისის პრესა თემთა პალატაში ჩემბერლენის გამოსვლის შესახებ

როგორც უკვე გამოქვეყნებული იყო, ინგლის-საფრანგეთის ჯარები, რომლებიც იმყოფებოდნენ შუა ნორვეგიაში ტრონჰეიმისა და ნამსოსის რაიონში, „გაიწვია“ მოკავშირეთა სარდლობამ „სტრატეგიული მოსაზრებებით“. გამოვიდა რა ამ საკითხზე თემთა პალატაში 2 მაისს, ინგლისის მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ჩემბერლენმა განაცხადა, რომ მოკავშირეებმა გადასწყვიტეს ხელი აიღონ ტრონჰეიმის დაკავებაზე სამხრეთიდან და თავისი ჯარები გაიწვიეს ამ რაიონიდან, რათა ისინი სხვა ადგილებში გადაიყვანონ.

მაგრამ უცხოეთის პრესა და შუა ნორვეგიიდან მოკავშირეთა ჯარების ნაჩქარევად გაქცევის მოწმენი ამას აფასებენ, როგორც ინგლის-საფრანგეთის სამხედრო ბლოკის დიდ დამარცხებას. ამერიკის სააგენტოს ალიანს ოლდრიჯის კორესპონდენტი, რომელიც მოკავშირეთა უკანდახევის დროს ნამსოსში იმყოფებოდა, იუწყება, რომ ეს უკანდახევა უაღრესად ნაჩქარევი და უცნაური იყო. ინგლის-საფრანგეთის ჯარებმა უკან დაიხიეს ყოველგვარი საფარის გარეშე, დღისით. ამის გამო დიდძალი ხალხი დაიღუპა. გერმანიის თვითმფრინავები განუწყვეტლივ უშენდნენ ტყვიამფრქვევებს და ჰყრიდნენ ყუმბარებს ქალაქსა და ნავსადგურში. სიჩქარეში მოკავშირეთა ჯარები ჰყრიდნენ იარაღს, სამხედრო საჭურველს, ტელეფონებს, რადიოდანადგარებს, საველე სამზარეულოებს, ტანისამოსს, ვინაიდან არა ჰქონდათ საშუალება ყოველივე ეს გემებზე დაეტვირთათ.

ამას ისიც უნდა დავძინოთ, რომ მოკავშირეთა სარდლობამ, რომელიც ახორციელებდა უკანდახევის თავის „სტრატეგიულ“ გეგმას, ეს ამბავი არც კი აცნობა ნორვეგიის იმ ჯარის სარდლობას, რომელიც ტრონჰეიმის რაიონში მოქმედებს. პოლკოვნიკმა ჰეცმა, რომელიც ტრონჰეიმის რაიონში ჯარის სარდლის მოვალეობას ასრულებს, გამოსცა ბრძანება, სადაც ნათქვამია: „ინგლისისა და საფრანგეთის სარდლობამ გაუგებარი აქტი ჩაიდინა: მათ ღიად დასტოვეს ჩემი ფლანგები და ზურგი ისე, რომ მე არაფერი მაცნობეს. ამგვარად, მე მომესპო უკან დახევის საშუალება“. დარწმუნდა რა, რომ შემდგომი წინააღმდეგობა უაზროა, ჰეცმა გერმანიის სამხედრო სარდლობას აცნობა, რომ მას სურს დაამყაროს კონტაქტი ტრონჰეიმის რაიონში ზავის დადების მიზნით.

ინგლისის გაზეთების უმრავლესობა სასტიკად აკრიტიკებს მოკავშირეთა სარდლობის ღონისძიებებს და ინგლისის მთავრობის მოქმედებას ნორვეგიაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

გაზეთი „ნიუს ქრონიკლი“ მოწინავე სტატიაში სწერს: „სტრატეგიული მხრივ ჩვენ დაგვამარცხეს. თუ გავითვალისწინებთ ამ დამარცხების პოლიტიკურ შედეგებს ნეიტრალური და არამეომარი ქვეყნების ჩვენდამი დამოკიდებულების თვალსაზრისით, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ დიდი დამარცხება განვიცადეთ“.

გაზეთი „დეილი ჰერალდი“ აცხადებს, რომ ჩემბერლენის თავისმართლება ვერ აგვინაზღაურებს იმ ზარალს, რომელიც ინგლისის პრესტიჟს მიადგა მთელ მსოფლიოში ნორვეგიიდან ინგლისის ჯარის გაწვევის შედეგად. ჩემბერლენმა, სწერს გაზეთი, უნდა იკისროს პასუხისმგებლობა ამ დამარცხებისათვის.

პრესას საჭიროდ მიაჩნია ტრონჰეიმიდან და ნამსოსიდან ინგლისის ჯარის დახევის მიზეზების გამოძიება და დაჟინებით მოითხოვს იმ ადამიანთა გადაყენებას, რომლებმაც შეცდომები დაუშვეს. (საკდესი).

მოკავშირეთა ჯარებმა დასტოვეს ნამსოსი

ლონდონი, 4 მაისი (საკდესი). სამხედრო სამინისტრო იუწყება: „ინგლის-საფრანგეთის ჯარები წუხელ გემებში ჩასხეს ნამსოსში. ჯარის უკანდახევა და გემებში ჩასხმა უდანაკლისოდ მოხდა. ინგლის-საფრანგეთის იმ ჯარებზე, რომელნიც ნარვიკის რაიონში მიიწევენ, მტერმა იერიში მიიტანა 1 და 2 მაისს. ორივე იერიში მოგერიებულ იქნა“.

ინგლისური პრესა ნორვეგიაში მოკავშირეთა დამარცხების შესახებ

ლონდონი, 5 მაისი (საკდესი). ინგლისური პრესა განაგრძობს ნორვეგიის მთელი რიგი პუნქტებიდან მოკავშირეთა ჯარების გაყვანის საკითხის განხილვას. მოკავშირეთა სამხედრო ხელმძღვანელობა დღეს მკაცრად გააკრიტიკა ლოიდ ჯორჯმა სტატიაში, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „სანდი პიქტორიელში“. „დამარცხება ნორვეგიაში, — სწერს ლოიდ ჯორჯი, — წარმოადგენს ინგლისის მთავრობის პოლიტიკის ერთერთ ჩავარდნას ყველაზე წარმოუდგენელ ჩავარდნათა მთელი სერიიდან. ჩვენ ნორვეგიაში გავგზავნეთ ნაჩქარევად შეგროვილი საექსპედიციო ჯარი, რომელიც მოკლებული იყო უაღრესად აუცილებელ საჭურველს. მოკავშირეთა ყველა ოპერაციას ნორვეგიაში არაკომპეტენტურობისა და სისულელის დაღი აზის. ინგლისი მზად არის გაიღოს ყოველი მსხვერპლი, მაგრამ ეს უმიზნო იქნება საბოლოო გამარჯვების უზრუნველსაყოფად, როცა ომის უმაღლესი ხელმძღვანელობა არა თუ მცდარია, არამედ უმწეო და სულელურიცაა. საეჭვო არ არის, რომ მდგომარეობა უაღრესად სერიოზულია. ინგლისის კაბინეტის ცდები, რომ მის წინაშე მდგარი ამოცანა დაეძლია, აშკარად დამარცხდა. ახლა თვითონ პარლამენტმა დაუყოვნებლივ უნდა იკისროს ამ საკითხის გადაჭრა. თუ პარლამენტი ამას არ იზამს, ეს უმაღლესი გამცემლობის თანაბარი იქნება“.

ინგლისური პრესა ნამსოსიდან მოკავშირეთა ჯარების ევაკუაციის შესახებ

ლონდონი, 5 მაისი (საკდესი). გუშინ ინგლისურმა გაზეთებმა მოათავსეს დამსწრეთა ცნობა ნამსოსიდან მოკავშირეთა ჯარების ევაკუაციის შესახებ. გაზეთ „დეილი მეილის“ კორესპონდენტი იუწყება, რომ გერმანელები ინგლისის ჯარს ჰაერიდან განუწყვეტლივ უშენდნენ ყუმბარებს. „მე, — სწერს კორესპონდენტი, — ვხედავდი, თუ როგორ ბრუნდებოდნენ ინგლისელი ჯარისკაცები სრულიად დაუძლურებულნი გერმანიის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლის შემდეგ. 28 აპრილისათვის ქალაქი ნამსოსი მთლად მოსპობილი იყო“.

ჩერდება რა ინგლისის საზღვაო ავიაციის მოქმედებაზე, კორესპონდენტი სწერს: „შემიძლია აღვნიშნო, რომ ჩვენს თვითმფრინავებს საკმაო სიჩქარე არა აქვთ“.

გაზეთ „დეილი ექსპრესის“ კორესპონდენტი სწერს, რომ 2 მაისს ნამსოსმა განსაკუთრებით სასტიკი საჰაერო ბომბარდირება განიცადა. არც კი შეიძლება ითქვას, რომ მრავალი საჰაერო თავდასხმა ყოფილიყოს, ეს ერთი მთლიანი საშინელება იყო. ერთმა ინგლისელმა ჯარისკაცმა კორესპონდენტს უთხრა: „ამ საჰაერო ბომბარდირების შედეგად ჩვენ ცნობიერება წაგვერთვა. ჩვენ არ გვაქვს ისეთი ავიაგამანადგურებლები, რომლებიც გერმანიის ყუმბარმშენებს გაუმკლავდებოდნენ“. კორესპონდენტი დასძენს, რომ მოკავშირეებმა ნამსოსის რაიონში მიატოვეს სურსათის მთელი მარაგი და საომარი მასალა.

იტალიური პრესა ნორვეგიაში ინგლის-საფრანგეთის ოპერაციების შესახებ

რომი, 4 მაისი (საკდესი. „ჯორნალე დ'იტალია“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გერმანია ემუქრება მოკავშირეთა გემებს ჩრდილოეთ ზღვაში და თვით ინგლისს, რამდენადაც ნორვეგიის ძირითადი ნაწილი გერმანელთა ხელშია. გაზეთის აზრით, ჩემბერლენს ეშინია გერმანიის ჯარის გადმოსხმისა ინგლისში.

„ლავორო ფაშისტა“ სწერს, რომ ახლა „მითი ინგლისის მიუწვდომლობის შესახებ საბოლოოდ გაქარწყლებულია“. „ტრიბუნა“ ირონიულად იხსენიებს ინგლისის არმიას. „პოპოლო დ'იტალია“ ლაპარაკობს „ინგლისის დიდ დამარცხებაზე ნორვეგიაში“.

„რეჟიმე ფაშისტა“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უმწეოა ინგლისის გარანტიები, რომლებსაც პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვთ.

შვეციის პრემიერის ჰანსონის გამოსვლა

სტოკჰოლმი, 4 მაისი (საკდესი). ბურჟუაზიული პარტიების, სოციალ-დემოკრატიული პარტიებისა და პროფკავშირების მიერ მოწვეულ საპირველმაისო მიტინგზე პრემიერმა ჰანსონმა განაცხადა: „ჩვენ განუწყვეტლივ განვაგრძობთ მეცადინეობას, რათა შევინარჩუნოთ მშვიდობიანობა ჩვენი ხალხისათვის. ამ ამოცანის გადაჭრის საშუალებებს ჩვენ ვხედავთ ყოველმხრივ ნათელ და მტკიცე ნეიტრალიტეტში, რომლის დაცვაც გადავწყვიტეთ მთელი ჩვენი ძალებით. ეს ნეიტრალიტეტი იმას ნიშნავს, რომ არ დავუშვებთ ჩვენი საზღვრების ხელშეუხებლობისა და ჩვენი თავისთავადობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დარღვევას“.

შემდეგ ჰანსონმა განაცხადა, რომ „შვეციის მთავრობა კმაყოფილებით ხვდებოდა მეომარ სახელმწიფოთა მიერ არაერთხელ გაკეთებულ განცხადებას შვეციის ნეიტრალიტეტისა და დამოუკიდებლობის პატივისცემის შესახებ. პასუხისმგებლობა ნეიტრალიტეტის პოლიტიკის უსასტიკესად დაცვისათვის პირველ რიგში ეკისრება მთავრობას, რიქსდაგს და მთელ ხალხს, ცალკე თვითეულ მოქალაქეს“.

ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტრო საბჭოთა კავშირის მიერ სპილენძის შესყიდვის შესახებ

ნიუ-იორკი, 4 მაისი (საკდესი). გაზეთ „კრისტიან საიენს მონიტორის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი სწერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენლები უარჰყოფენ ინგლისის ბლოკადის მინისტრის კროსის ბრალდებას, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატებიდან გერმანიაში საბჭოთა კავშირის გზით იგზავნებოდეს სპილენძის დიდი რაოდენობა. კორესპონდენტის სიტყვით, ვაჭრობის სამინისტროს პასუხისმგებელმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ, თანახმად ჩვენს ხელთ არსებულ სარწმუნო ცნობებისა, ინგლისმა იცის, რომ ამერიკის სპილენძი არ იგზავნება გერმანიაში რუსეთის გზით, ხოლო საბჭოთა კავშირის მიერ სპილენძის შესყიდვის ზრდა ამერიკის შეერთებულ შტატებში არის შედეგი იმისა, რომ ინგლისმა უარი სთქვა მიჰყიდოს საბჭოთა კავშირს სპილენძი და შედეგი იმისა, რომ ინგლისმა დახურა სპილენძით მომარაგების სხვა წყაროები. საბჭოთა კავშირის მიერ ლითონების შესყიდვა ამერიკის შეერთებულ შტატებში საკმარისი არ არის შინაური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. გასული წლის ოქტომბერში რუსეთ-ფინეთის ომის წინ ინგლისმა შესწყვიტა საბჭოთა კავშირის სპილენძით მომარაგება ბრიტანეთის იმპერიიდან. ერთდროულად ინგლისმა მიაღწია იმას, რომ სსრ კავშირში შესწყდა ბელგიისა და საფრანგეთის სპილენძის გაგზავნა იმ საფუძველზე, რომ ინგლისს თვითონ სჭირდება ეს ლითონი. ამავე წარმომადგენელმა, განაგრძობს კორესპონდენტი, აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მეტად ძნელია ხელი შეუშალოს საბჭოთა კავშირს სპილენძის შესყიდვის საქმეში კონგრესის სპეციალური ნებართვის გარეშე. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა და ვაჭრობის სამინისტროს აზრით, ინგლისის ბრალდება იმის შესახებ, თითქოს დიდი რაოდენობის კონტრაბანდა იგზავნებოდეს გერმანიაში რუსეთის გზით, მიზნად ისახავს ზეგავლენა მოახდინოს კრემლზე იმ სავაჭრო მოლაპარაკებასთან დაკავშირებით, რომელიც ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის სწარმოებს.

რამდენიმე კვირის წინათ ამერიკის კარგად ინფორმირებული ერთი ოფიციალური წარმომადგენელი საკდესის კორესპონდენტთან საუბარში უარჰყოფდა ინგლისის ბრალდებას, თითქოს საბჭოთა კავშირი ამერიკის ლითონებს გერმანიაში ჰგზავნიდეს. გაზეთ „კრისტიან საიენს მონიტორის“ კორესპონდენტის ზემოაღნიშნული ცნობა მოწმობს იმას, რომ ინგლისის ბრალდებამ უკმაყოფილება გამოიწვია ამერიკის ზოგიერთ ოფიციალურ პირთა შორის, და, შესაძლოა, რომ ლითონების ამერიკის ზოგიერთ ექსპორტიორს არა სურს მხარი დაუჭიროს ინგლისის ემბარგოს, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არის შემოღებული.

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის საჰაერო კონვენციის განხილვა ბულგარეთის პარლამენტის მიერ

სოფია, 4 მაისი (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, ბულგარეთის პარლამენტმა ერთსულოვნად მოიწონა სსრ კავშირსა და ბულგარეთს შორის დადებული საჰაერო კონვენცია და ზედდართული დამატებითი ხელშეკრულება. მთავრობის უმრავლესობის დეპუტატმა იანევმა სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა: „სსრ კავშირსა და ბულგარეთს შორის დადებული საჰაერო კონვენცია რიგით მესამე ხელშეკრულებაა მას შემდეგ, რაც ჩვენს სახელმწიფოსა და საბჭოთა კავშირს შორის აღდგენილ იქნა დიპლომატიური ურთიერთობა. 1935 წლიდან გავიდა რამდენიმე წელი, რომელთა განმავლობაშიც ჩვენი და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა მეგობრულ რეალურ საფუძველს ემყარებოდა“.

იანევმა აღნიშნა, რომ ბულგარეთი ყოველთვის ლოიალური იყო სსრ კავშირის მიმართ, ხოლო სსრ კავშირი ლოიალობას იჩენდა ბულგარეთის მიმართ და არასოდეს ჩარეულა მის შინაურ საქმეებში.

შემდეგ ორატორმა განაცხადა, რომ სსრ კავშირსა და ბულგარეთს შორის სავაჭრო შეთანხმებამ „უკვე გამოიღო კარგი შედეგი“.

„პარლამენტი, — განაცხადა შემდეგ იანევმა, — უდავოდ მოიწონებს მისთვის წარდგენილ კონვენციას. პარლამენტს არ შეუძლია არ დაინტერესდეს იმ სარგებლობით, რის მოტანაც ბულგარეთისათვის შეუძლია ასეთ კონვენციას. პარლამენტი ამ გადაწყვეტილებას მიიღებს აგრეთვე იმ სურვილის გამო, რომ თავისი მეგობრობის გრძნობა გამოსთქვას საბჭოთა კავშირის მიმართ ისეთ მომენტში, როდესაც საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოლიტიკური პოზიცია, ნეიტრალიტეტის პოზიცია, ჩვენს პოზიციას შეესაბამება“.

დეპუტატმა ტოდორ პოლიაკოვმა განაცხადა: „ჩვენთვის დასამტკიცებლად წარმოდგენილ კონვენციას მოსკოვსა და სოფიას შორის რეგულარული საჰაერო მიმოსვლის დამყარების შესახებ განსაკუთრებით დიდი, მე ვიტყოდი, ისტორიული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხისათვის“. ორატორმა აღნიშნა, რომ „ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებმა ხელშეკრულებამ უკვე გამოიღო თავისი კეთილნაყოფიერი შედეგი ჩვენი ქვეყნისათვის იმ მომენტში, როდესაც ბულგარეთი განსაკუთრებულ მდგომარეობაშია და როდესაც იგი ზოგიერთი მეომარი სახელმწიფოს ოინების ობიექტს წარმოადგენს. საბჭოთა კავშირი, რომელიც ახლანდელ დიდ იმპერიალისტურ ომში მტკიცე ნეიტრალიტეტის პოზიციას ადგას, ჩვენთვის ყველაზე საჭირო კონტრაგენტია“.

დასასრულ ორატორმა მოუწოდა საბჭოთა კავშირთან კიდევ უფრო მჭიდრო დაახლოებისაკენ.

დივერსანტების დაპატიმრება შვეციაში

სტოკჰოლმი, 4 მაისი (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ ინგლისის ქვეშევრდომი რიკმანი და მისი მდივანი (შვედი-ქალი) იოჰანსონი დაპატიმრებული არიან დივერსიული აქტის მომზადებისათვის. მათს გარდა, დაპატიმრებული არიან მთელი რიგი პირები. სარდაფში, რომელიც რიკმანს ჰქონდა დაქირავებული, 20 აპრილს იპოვნეს სხვადასხვა ფეთქებადი ნივთიერებანი და სხვა საშუალებანი დივერსიული აქტების შესასრულებლად. რიკმანის ბინაში იპოვნეს ძლიერი ფეთქებადი ნივთიერებით სავსე ექვსი დიდი ჩემოდანი. სულ აქამდე ნაპოვნია დაახლოებით 190 კილოგრამი ფეთქებადი ნივთიერებანი, 300 ავტომატური სანთია, 324 ცეცხლგამჩენი ყუმბარა, დაახლოებით 200 ფისტონი, 8 გატენილი ნაღმი, 8 ნაღმის სანთია, 11 ელექტროდეტონატორი, 4 წყვილი საათი ჯოჯოხეთის მანქანისათვის, ფეთქებადი ნივთიერებით სავსე 4 სასპორტო ჩემოდანი, სხვადასხვა ავტომატური ხიშტები და სხვ. ზოგიერთმა დაპატიმრებულმა ამას წინათ მოიარა ცნობილი ადგილი შვეციაში მავნებლური აქტების განსახორციელებლად, მაგრამ ეს მათ ვერ მოახერხეს, ვინაიდან ამ ადგილს ჯარი იცავდა.

„სტოკჰოლმს ტიდნინგენი“ იუწყება, რომ რიკმანი შვეციაში წარსულ ზაფხულს ჩამოვიდა, გახსნა აქ ფირმა „დენტალმატერიელის“ სახელწოდებით და რამდენჯერმე იმგზავრა პოლონეთში, ამასთანავე პოლონეთში თვითეული გამგზავრების შემდეგ დიდძალ ფულს უგზავნიდა პოლონელ ადრესატებს.

პოლონეთის დაშლის შემდეგ რიკმანმა განაცხადა, კავშირი მაქვს საფრანგეთის ფაბრიკასთან, მაგრამ საფრანგეთში კი არასოდეს არ ვყოფილვარო.

საფრანგეთის კომუნისტთა დევნა

როგორც პარიზიდან იუწყებიან, საფრანგეთის ხელისუფლებამ, რომელიც განაგრძობს კომუნისტთა დევნას, იეს კუნძულზე გადაასახლა 125 კომუნისტი-დეპუტატები, გენერალური მრჩევლები და მერები. გადასახლებულთა შორის არიან საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატი ჟან დიუკლო და შრომის საყოველთაო კონფედერაციის (პროფკავშირთა გაერთიანება) მდივანი რაკამონი. გადასახლება მოელის კიდევ 80 კომუნისტს.

აპრილის მეორე ნახევარში საფრანგეთის პოლიციამ სხვადასხვა ქალაქებში დააპატიმრა 27 კომუნისტი. (საკდესი).

7 მაისს, საღამოს 8 საათზე, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შენობის წითელ დარბაზში გაზ. „კომუნისტის“ რედაქცია ატარებს თბილისის საბჭოს სისტემაში მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების მოქმედიანობის შესახებ

საინფორმაციო-საინსტრუქტაჟო თათბირს.

ამავე თათბირზე მოსმენილი იქნება სამხედრო პროკურორის ინფორმაცია წითელარმიელთა საჩივრებსა და წერილებზე მუშაობის შესახებ.

თათბირს უნდა დაესწრონ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს და რაიონული საბჭოების ყველა განყოფილებების, ტრესტებისა და სამმართველოების ხელმძღვანელები, საქმეთა მმართველები, საბინაო სამმართველოების მთავარი ინჟინრები, ინსპექტორები, რაისოცუზრუნველყოფის ინსპექტორები და აგრეთვე ყველა ის პირები, რომლებსაც კავშირი აქვთ მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების გარჩევა-გამოკვლევასთან.

თათბირზე დასასწრებლად მოწვეული არიან აგრეთვე თბილისის რაიონების პროკურორები და უბნის სასამართლოთა თავმჯდომარეები.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი

გაზ. „კომუნისტის“ რედაქცია

„გიორგი საკაძე“ მარჯანიშვილის სახ. თეატრში: სურათზე (მარცხნიდან—მარჯვნივ) რესპ. სახ. არტისტი **შალვა დამბაშიძე** (გიორგი საკაძე), მსახიობი **ს. ზაქარიაძე** (ბახუტა), რესპ. დამს. არტისტი **ვ. ანჯაფარიძე** (მზევინარი) და მსახ. **ლ. შატბერაშვილი** (თენგო).

ფოტო ლ. ბუდუშტსკისა (სოიუზფოტო).

„გიორგი საკაძე“ მარჯანიშვილის სახ. თეატრში

გიორგი საკაძის თემაზე ახლო ხანში სამი დრამატიული ნაწარმოები დაიწერა. რესპუბლიკის სახ. არტისტის **უშანგი ჩხეიძის** პიესა თავისი აღნაგობით განსხვავდება დანარჩენი ავტორების ნაწარმოებთაგან, თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორს იგი სხვაგვარად ჰქონდა გააზრებული. თეატრმა, მართალია, ნაყოფიერად იმუშავა პიესის შემდგომ რეკონსტრუქციაზე, მაგრამ ტრაგედიის სიუჟეტურ კვანძს ბუნებრივი დასასრული, როგორც ვნახეთ, ვერ მოუძებნა.

უ. ჩხეიძის პიესის მთავარ ხაზს უშვენიერ სამკაულად მიჰყვება მზევინარის და ბახუტას რომანი, მაგრამ ეს სამკაული სიუჟეტთან ორგანიული კავშირის გაბმას ვერ ახერხებს, შუა ნაწილში სწყდება და მოქმედებიდან გადის გმირი-ქალი. რჩება ბახუტა, რომელიც ამის შემდგომ ძალზე პირობით გმირად გვევლინება.

პირობითია ისიც, რომ გიორგი საკაძის იდეის განხორციელების გზაზე ძლიერი მოწინააღმდეგეების გავლენიანი და მძლავრი ფეოდალების პარტიის ნაცვლად, რომლის ხელში ნამდვილად იყო ქვეყნის ბედიღბალი, გვევლინებიან მოლაყბე თავადები, რომელთა წინააღმდეგობა სცენაზე მხოლოდ სასახლის დარბაზში უბრალო აურ-ზაურისა და ყვირილის სახით ვლინდება. ბრძოლა ამ მოწინააღმდეგესთან გიორგი საკაძეს სცენაზე არ უხდება და ამრიგად მეფე თეიმურაზის წინაშე ქ. ჯავახიშვილის და ციციშვილის მოთხრობილ ამბებს სცენიური სიცოცხლე აკლია.

მიუხედავად ამისა, უ. ჩხეიძის „გიორგი საკაძეს“ აქვს მთელი რიგი დადებითი მხარეები, რაც მას სცენიურად მისაღებად ხდიან. პიესა დაწერილია გამართული თეთრი ლექსით, ცალკეული სცენები პოეტური გემოვნებითა და გზნებითაა გადმოცემული. ხალხური სანახაობანი — ფარიკაობა, ქიდაობა, — მრავალმეტყველად და აზრიანადაა გამოყენებული.

მარჯანიშვილის თეატრმა დიდი ენერგიითა და სიყვარულით განახორციელა ამ პიესის დადგმა თავის სცენაზე. დამდგმელმა რეჟისორმა **ვასო ყუშიტაშვილმა** მოუძებნა პიესას სცენიური წარმოსახვის ნაციონალური კილო. ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი გარეგნულად უძრავია, მაგრამ შინაგანი დინამიურობა უჩვეულო ძალით სჩქეფს და იპყრობს მაყურებელს. სპექტაკლის ცალკეული სცენები წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ თავისი მონუმენტალობით, დრამატურგიულ მონაფიქრში ღრმად ჩაწვდომით, მომქმედი პირების სცენიური სახეების სწორი მოხაზვით. რეჟ. ვ. ყუშიტაშვილის გააზრებას არ ღალატობს მხატვრული გაფორმება, რომელიც მხატვარ **სერგო ქობულაძეს** ეკუთვნის. ქართული ხუროთმოძღვრების, ქართლის ისტორიული კოლორიტის ღრმა ცოდნა აღბეჭდილია მის დეკორაციებში, მაგრამ ალაგ-ალაგ სცენა ზედმეტად ჭრის გადატვირთული.

იმდროინდელი ტანჩაცმულობა სწორად აღუდგენია **დ. ძნელაძეს**. უნდა შევნიშნოთ მხოლოდ, რომ გრძელზეწვიანი ნაბდები და მიტროპოლიტის ტანსაცმელი დაშორებულია ისტორიულ სინამდვილეს.

სპექტაკლთან მტკიცე ორგანიულ კავშირშია **კ. მეღვინეთ-უხუცესის** შესანიშნავი მუსიკა, ალსავსე ქართლური მელოდიებით, რომელიც მშვენიერ ორნამენტად მიჰყვება სპექტაკლს.

აქტიორებთან ერთად დადგმის ავტორებმა მოგვცეს მაღალი ემოციებით დატვირთული გმირული სპექტაკლი, რომელიც აცოცხლებს მაყურებლის თვალწინ ქართველი ხალხის XVII ს. გმირულ ისტორიას.

გიორგი საკაძის როლს ასრულებს რესპ. სახალხო არტისტი **შალვა დამბაშიძე**. პიესის სიტყვიერი მასალის დიდი ნაწილი გიორგის სალაპარაკოა. ავტორს ერთგვარი მიკერძოებაც გამოუჩენია ამ მხრივ თავისი გმირისადმი. მონოლოგები მაღალფარდოვნად ბგერს. გმირს აქვს მდიდარი განცდები, რომლებშიაც მკვეთრად ისახება ხალხისათვის თავდადებული ადამიანის ხასიათის ყველა დეტალი. სცენიური ხერხების ზომიერად გამოყენების გრძნობა, ჟესტისა და სიტყვის კეთილშობილება და თამაშის გულწრფელობა ახასიათებს შ. დამბაშიძის მიერ შექმნილ ამ სახესაც. მხატვრული კითხვის ოსტატი მკაფიოდ უსვამს ხაზს სიტყვის აზრს და სწორად მიაქვს იგი მაყურებლამდე. ამ მხრივ დიდ შთაბეჭდილებას ახდენს იგი სცენაში კარავის წინ. შ. დამბაშიძის სცენიური გარეგნობაც სწორად უპასუხებს დრამატურგის მიერ მოფიქრებულ სახეს, მაგრამ გრიმს შემდგომი გაუმჯობესება სჭირდება. ჩვენის აზრით, კარგი იქნებოდა ყორჩიხანთან შერკინება კარავს გარეთ მოწყობილიყო და რეჟისორს მოძრაობაში მოეყვანა მასა, რომელიც ამ დროს მაყურებლის როლს ასრულებს.

რესპ. დამსახ. არტისტი **ვერიკო ანჯაფარიძე** ანსახიერებს ახალგაზრდა ქართველი ქალის მზევინარის სცენიურ სახეს. დიდი გემოვნებით შემუშავებული სცენიური ხერხებით, მასთან შეთანხმებული მოძრაობითა და მეტყველების მოხდენილი კილოთი ხატავს ვერიკო ანჯაფარიძე ისტორიულად ნამდვილ ტიპს. ბახუტასთან გასაუბრების სცენაში მაყურებლის წინაშე ცოცხლდება ქართული ისტორიული ფრესკების მომხიბლველობა. ლამაზი სურათოვნებით მეტყველებს სცენა ამ დროს. თავისი ფიგურიდან მსახიობი უხვად ძერწავს ნაციონალური ფორმის ქანდაკებებს ცოცხალი და მეტყველი დეტალებით, ხოლო ლირიულად გრძნობიერი ხმა თავისი მრავალფეროვანი ნიუანსებითა და ინტონაციებით გულის სიღრმეში გწვდებათ და მასში საამო რეაქციას იწვევს.

ოსტატურად მიჰყავს ვ. ანჯაფარიძეს სცენა მეორე მოქმედებაში, როცა თავისი მეგობრის სიყვარულში დაეჭვდება. მაყურებელს თვალწინ ესახება წაკიდების სურათი ნესტანისა თავის მიჯნურთან. ასეთი სურათოვნებით მიჰყავს მას როლი, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თამაშის დასასრულს მსახიობს სიტყვიერი მასალა ნაკლებ წყალობს.

ვ. ანჯაფარიძის სცენიურ სახეს სწორად უხამებს თამაშს მსახიობი **ს. ზაქარიაძე**. ბახუტას გულში ორი სიყვარული სჩქეფს—სატრფოსი და სამშობლოსი. ტექსტი მას საშუალებას არ აძლევს გვიჩვენოს, თუ როგორ სძლევს ერთი გრძნობა მეორეს, მაგრამ გმირის ხასიათის ორივე საწყისის გამოხატვაში ის ბუნებრივია და თანაბრად ძლიერი. პირველივე მოქმედებიდან ის იპყრობს მაყურებელს, სცენიური მომხიბლველობით, რაც შუასაუკუნეების ქართველი ტრუბადურის გამოკვეთილ სახეს ჰქმნის. კარგია ზაქარიაძე, როცა მარაბდის ომის ამბავს მოგვითხრობს. ეს პოეტური მოთხრობა დიდი გმირულ-რომანტიული გზნებითა და პათოსით არის გამთბარი. სატრფოსთან დიალოგში კარგი იქნებოდა, რომ სიტყვას ხშირად „ოხვრას“ თან არ ატანდეს.

რესპ. სახ. არტისტი **ელ. ჩერქეზიშვილი** ჩვეული სცენიური ოსტატობით ანსახიერებს ქავთარის დედის—როდამის როლს და ამით ტიპიური ქართველი ფეოდალის ოჯახის უფროსის—დედის, — სწორად გააზრებულ სცენიურ სახეს იძლევა.

თეიმურაზ მეფის კარგი სცენიური სახე მოგვცა რესპ. დამს. არტისტმა **შ. გომელაურმა**. მწირი სიტყვიერი მასალით მან შესძლო ამ მეფის ტრაღიკული ბედის მაყურებლამდე სწორად მიტანა, განსაკუთრებით მარაბდის ომის სცენაში.

რესპ. დამსახ. არტისტი **მ. სარაული** დამახასიათებელი შინაგანი დამაჯერებლობით და სიმართლით ანსახიერებს ქავთარ ორბელის სცენიურ სახეს.

ქაიხოსრო ჯავახიშვილის როლში რესპ. დამს. არტისტი **შ. ჯაფარიძე** სცენიური სახეს სწორად ხსნის, მაგრამ ალაგ-ალაგ მეტყველების კილო არ შეესაბამება მის მიერ განსახიერებული ქართლელი ფეოდალის ტიპს.

მეტყველების სწორი კილო გმირის შინაგანი ბუნების გასახსნელად ვერა აქვს გამონახული მსახიობ **გ. შავგულიძესაც** (ზურაბ ერისთავი), თუმცა გარეგანი ფორმა ტიპის განსასახიერებლად მშვენიერი მოუძებნია. ასევე უნდა ითქვას საკაძის დედის შემსრულებელ რესპ. დამსახ. არტისტის **ელ. დონაურის** შესახებ.

დარბაისლურად მიჰყავს ქავთარის ცოლის როლი მსახ. **ბ. გამრეკელს**.

დიონისეს სახეს სწორად გადმოგვცემს მსახიობი **შ. გოცირელი**. მის თამაშში იგრძნობა ეკლესიის ამ ბნელი წარმომადგენლის რეაქციული ბუნება და ქვეწარმავლური ხოხვა გამარჯვებული ველური ძალის წინაშე.

სცენიურ ტემპერამენტს და ბევრ კარგ მონაცემს ამჟღავნებს მსახ. **მ. მგელაძე** ყორჩიხანის როლში.

მრავალმხრივი მოწონების ღირსია **მ. ლორთქიფანიძე** ყორჩიბაშის როლში თავისი ზომიერი ჟესტითა, კარგი მხატვრული მეტყველებით და საუცხოო დიქციით, რის გამო არცერთი მისი სიტყვა მაყურებლის ყურს არ ეკარგება.

დაუვიწყარ სახეს ჰქმნის **ნ. ანთაძე** (ფარსადან ციციშვილი) თავისი გრიმითა და მკაფიო მეტყველებით.

მომხიბლავი სცენიური სახეები შექმნეს **ალ. ომიაძემ** (ელია), **ლ. შატბერაშვილმა** (თენგო), **ალ. გომელაურმა** (დედას ბიჭი) და **ქ. ბეგალიშვილმა** (ტუხა).

სწორად გაუაზრებიათ თავისი როლები **მ. სულთანიშვილს** (ბარათაშვილი), **ი. ვაშაძეს** (მუხრან-ბატონი), **ალ. სიხარულიძეს** (ამილახორი), **დ. ჩხეიძეს** (თ. მუხრან-ბატონი), **ალ. თვარაძეს** (ზაზა ციციშვილი), **შ. პირველს** (პაპუნა) და **ი. ქოქრაშვილს** (საკაძის შვილი).

სპექტაკლის მაღალ მხატვრულ დონეს ვერ უპასუხებენ მასობრივი სცენები.

ბ. აბულაძე

„დ ე პ უ ტ ა ტ ი“

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა მიმდინარე სეზონის პირველ პრემიერად 5 მაისს გვიჩვენა კომპ. შ. თაქთაქიშვილის ახალი ოპერა „დეპუტატი“. ლიბრეტო ეკუთვნის გ. თაქთაქიშვილსა და ა. თაყაიშვილს.

ოპერა დადგა რეჟ. შ. აღსაბაძემ, დირიჟორობს შ. აზმაიფარაშვილი, მხატვრობა ეკუთვნის პროფ. შარლემანს, ცეკვების დადგმა დ. ჯავრიშვილს. მთავარ პარტიებს ასრულებდნენ: ნ. ცომაია (ნანო), დ. ანდღულაძე (ილია), დ. გამრეკელი (მენაბდე), გ. გასტენინა (დორა), კ. შათირიშვილი (ტასო), ვ. გირმისაშვილი (პავლე), ნ. პესტოვა (ლექსო), მ. სუხიაშვილი (მარიამი), გ. გრიგორაშვილი (ვანო).

სპექტაკლი მაყურებელმა კარგად მიიღო.

სპექტაკლის დასასრულს რეჟისორს, მხატვარს და კომპოზიტორს მხურვალე ოვაციები გაუმართეს.

დღეს პრემიერის მეორე დღეა. ნანოს როლს შეასრულებს ტ. შარატა-დოლიძე, დორას — ე. სოხაძე.

დღეს სტადიონზე

დღეს ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგება თბილისის „ლოკომოტივისა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელთა საჩვენებული გუნდების მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე. ორივე გუნდი ძირითადი შემადგენლობით ითამაშებს.

მატჩი დაიწყება შუადღის 5 საათზე.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: სახოპერა — „დეპუტატი“, რუსთაველის სახელობის — „გრაფის ქვრივი“, მარჯანიშვილის სახელობის—„გიორგი საკაძე“, მუსკომედია — „უჩინ-მაჩინი“, მოზარდ მაყ. თეატრი — „ლადო კეცხოველი“.

კინოებში: რუსთაველის სახ. — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“, ოქტომბერი — „სოროჩინის ბაზრობა“, დამკვრელი — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“, კომკავშირელი — „მეზღვაურები“, სპარტაკი — „ცხარე დღეები“, ლუქსემბურგის სახ.—„მთის ნაკადი“, 26 კომ. სახ.— „მთის ნაკადი“, კომინტერნი — „მთავრობის წევრი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს.

რომ ა. წ. 19 მაისს, საღამოს 8 საათზე (უნივერსიტეტის მთავარი შენობა) აუდ. № 93 იურიდიულ ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე **ნიკოლოზ სერგოს-ძე ლომსაძე** დაიცავს დისერტაციას იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოებლად თემაზე — **„საკოლმეურნეო საკუთრება როგორც ფორმა სოციალისტური საკუთრებისა“.**

ოფიციალური ოპონენტები: პროფ. ი. ი. **ტალახაძე**
ეკონ. მეც. კანდ., დოც. **ვ. ბახტაძე**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.
553

საქართველოს კურორტთა მთავარი სამმართველო

აცხადებს დაწესებულებათა და მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ პირველ ივნისიდან გაიხსნება პანსიონატი ახტალა (ტალახის აბაზანები) **მკურნალობის. კვების და საწოლით სარგებლობის 20-დღიანი საგზურის ღირებულება—645 მან.**

მიიღებიან ავადმყოფები შემდეგი ჩვენებებით:

1. მოძრაობის ორგანოთა ქრონიკული დაავადებანი.
2. პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებანი.
3. ქირურგიული დაავადებანი (ოპერაციების შემდეგი ნაწიბურები და შეხორცებანი).
4. ქრონიკული ფლებიტები და ტრომბოფლებიტები.
5. ქრონიკული გინეკოლოგიური დაავადებანი.
6. კანის ქრონიკული დაავადებანი.

1 მაისიდან გაიხსნა სანატორიუმი მენჯი (სადგური ცხაკაია, ლ.-პ. ბერიას სახელობის რკინიგზა) **მკურნალობის 20-დღიანი საგზურის ღირებულება—645 მან. 34 კაპ.**

ჩვენებანი მენჯისა:

1. გულისა და სისხლის ძარღვთა სისტემის ქრონიკული დაავადებანი.
2. მოძრაობის ორგანოთა ქრონიკული დაავადებანი.
3. პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებანი.
4. ქრონიკული გინეკოლოგიური დაავადებანი.
5. კანის ქრონიკული დაავადებანი.

საგზურები იყიდება როგორც ადგილობრივ — კურორტზე, აგრეთვე საქ. კურ. მთ. სამმართველოში: ქ. თბილისი, ბერიას მოედანი, № 3, ტელ. № 3-08-85, კურბიურო.

1029 **საქ. კურ. მთ. სამმართველო.**

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი
(ფუნიკულორის პლატო)

6 მაისი

მთავარი შენობის ვესტიბულში **გაიხსნება გამოფენა**

ძველი ქართული ხალხური სანახაობანი

კინოთეატრში **„სევანის მეთევზეები“**

მრავალფეროვანი გასართობები, ატრაქციონები. საჭადრაკო, საშაშო, საბილიარდო ღიაა ღამის 12 ს-მდე.
85

პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივი იუწყება ამავე სასწავლებლის III კურსის ფრიადოსანი მოსწავლის

ნათელა ლეონტის-ასულ ახობაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6/V, 7/V 7 ს. დაკრძალვა 8/V 2 ს. საზღვრის შეს., 8.

მეუღლე ანა, შვილები კოლია, ნუნუ, რძალი ცუცა, სიძე შოთა ციხკარიძე, შვილიშვილები იუწყებიან

ევგენი (ალექსანდრე) ისლამის-ძე ხორავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6/V 6 ს. მე-2 საავადმყოფოში, კანის, 103. გამოსვენება 7/V 5 ს. გორის შესახვ., 12. 6210

„კოოპლესსტროის“ მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან ანდრო ჩიქოვანის მეუღლის

ლიზიკოს

გარდაცვალებას. გამოსვენება 6/V, ორჯონიკიძის, 40—ა, კუკიის სასაფლაოზე. 6192

ქსენია, ოტია და ლევან ბერიები მშობლებით იუწყებიან რძლის თინას დის

ბაბულია ანდროს-ასულ ცქიტიშვილის

გარდაცვალებას. 6206

ჯიბაშვილი, პეტრიაშვილი, ბერიძე, გვალია, ჭანკვეტაძე, ჭანჭალეიშვილი, გელოვანი, რატიანი, ფანცულაია, ბიბინეიშვილი, მახარაძე, ვაზავა, სოხაძე, ბრეგაძე, სალაძე იუწყებიან ანდრო ჩიქოვანის მეუღლის

ლიზიკოს

გარდაცვალებას. 6190

ცოლი ელენე, ცოლისძმა გიორგი პაპიაშვილი ოჯახით, ქვისლი დათიკო ჩახავა ცოლშვილით იუწყებიან

ვასილ პავლეს-ძე ბახუტაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 6/V 5 ს. გორის შესახვევი, 12. 6205

კვარაცხელია, ზენაშვილი, ნიკოლაიშვილი, გურგენიძე, სალდაძე, მამასახლისოვა, კოლესნიკოვა, ფაშაკიძე, მონავარდიშვილი, ჭანიშვილი, ჭელიშვილი, ტუღუში, ახვლედიანი, ჩოგოვაძე, პეტრიაშვილი იუწყებიან მარო პარკაიას ძმის

გალაქტიონ ირაკლის-ძე პარკაიას

გარდაცვალებას. 6200

თელავის სატყეო მეურნეობის და თბილსათბობის თელავის განყოფილების თანამშრომლები ჯაფარიძე, აბულაძე, ბოგველაძე, ყარაულაშვილი, უთიაშვილი, იმედიძე, გურასპაულიძე, ქობალია, იუწყებიან ვ. სანადირაძის მამის

იაგორ სანადირაძის

გარდაცვალებას. 6195

გ. გაბუნია, მ. ჩხეიძე, ფ. კალანდაძე, ა. გურგენიძე, თ. ფირალიშვილი იუწყებიან მეგობრის

გივი ჟივიძის

გარდაცვალებას. 6198

მე-25 სკოლის მე-10—ბ კლასის დამრიგებელი და მოწაფეები იუწყებიან

გივი ჟივიძის

გარდაცვალებას. 6203

მეუღლე ფაცია, შვილები ეთერ, დარეჯან, დიმიტრი, ძმა შალვა, სიძე დავით მურვანიძე იუწყებიან, რომ 7/V 5 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია

მელიტონ დიმიტრის-ძე იოსელიანის

სამოქალაქო პანაშვიდი. 6208

ცოლი სონა, შვილი ვერა, სიძე გრიშა, შვილიშვილები პანტელეიმონ, ჟორა მელაძეები იუწყებიან

იოსებ იოსების-ძე ფანცულაიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 7/V ქ. წულუკიძეში. 6209

სამედიცინო ინსტიტუტის ბავშვთა თერაპევტიული კლინიკა იუწყება ბავშვთა ქირურგიული კლინიკის ასისტენტ

სერგო (ბუხუ) სიმონის-ძე ბარქაიას

გარდაცვალებას.

თესლის კონტროლის ცენტრალური სადგურის თანამშრომლები იუწყებიან ამავე სადგურის დირექტორის დავითის მამის

გიორგი ბიჭიას-ძე ბუჩუაძის

გარდაცვალებას. 6188

დედა ელისაბედ ფოჩხიძე, ბიძები ლევან, გერონტი იუწყებიან, რომ 6/V 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია

გრიგოლ (გრიშა) ფოჩხიძის

სამოქალაქო პანაშვიდი. 6204

ბერიკაციშვილი, კვინტრაძე, ნადარეიშვილი, ბეკურაშვილი, საჩინელი, ედიშერაშვილი, ახალკაცი, ცქიტიშვილი, ამონაშვილი, ელიაძე, გოგოლაშვილი, ღლონტი, მხატვარი, ტორონჯაძე, ჯაბადარი, ბუჩუკური, ჩხაიძე თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. გ. ჟივიძეს მისი ძმისშვილის

გივი ჟივიძის

გარდაცვალების გამო.

მამა თონა, შვილი გოგია, მამიდა პელო, ბიძა ვანო იუწყებიან, რომ 6/V 4 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია

ვასო თომას-ძე ქოჩლაძის

სამოქ. პანაშვიდი. 6207

თბილისის სანკულტურის თეატრის კოლექტივი იუწყება ამავე თეატრის მსახიობ კოლია ხორავას მამის

ევგენი (ალექსანდრე) ისლამის-ძე ხორავას

გარდაცვალებას. 6211

მეუღლე ელისაბედ, შვილები მოსე, ილარიონ, თებრონე, მაკაკი, ქეთო, ნინო, რძლები კატო, ნინო, ანეტა, სიძეები ს. ჩხიკვიშვილი, კ. ლესელიძე იუწყებიან

ივანე გიორგის-ძე შეწირულის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 9/V დვაბზუში (მახარაძის რ.). 6220

ქსენია პაპასქირი, ლეონტი, მარო, კოლია, ქეთო ბარკალაიები იუწყებიან ბიძის და სიძის

გარსევან დიმიტრის-ძე გაგუჩიას

გარდაცვალებას. გამოსვენება 6/V 3 ს. ორჯონიკიძის ჩიხი, 4. 6170

სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის პროპედევტიკული თერაპიული კლინიკის ექიმები იუწყებიან ამავე კლინიკის ორდინატორის

ექიმ ანასტასია (გოცია) ჩიქოვანის

გარდაცვალებას. 6202

შალვა დადიანი, ა. ყანჩელი, ა. იმედაშვილი, ნ. გვარაძე, გ. ყიფშიძე, ი. ნანიაშვილი, ა. ბურთიკაშვილი, ი. თარალაშვილი, ა. ლითანიშვილი, ა. ცაბაძე, ა. ცაგარელი იუწყებიან ელენე და სოსო ჟივიძეების შვილის

გივი ჟივიძის

გარდაცვალებას. 6212

კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრის კოლექტივი იუწყება მსახიობის ს. ჟივიძის შვილის

გივის

გარდაცვალებას. 100

დავით, ნინო, სოფიო, გიორგი, ქსენია, ლავრენტი, თინგიზ თოთაძეები იუწყებიან

ეფემია ივანეს-ასულ თოთაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6/V 7 ს. გამოსვენება 7/V 6 ს. პარკის, 11 (ლენრაიონი). დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 6216

ექიმები მარიამ ვარდოსანიძე, ნინო ლებანიძე, ალექსი ქურციკიძე იუწყებიან ექიმ

გოცია (ანასტასია) ბესარიონის-ასულ ჩიქოვანის

გარდაცვალებას. 6185

გიორგი ბაბუნაშვილი მეუღლით ალექსანდრათი და ძმით ნიკოლოზით იუწყებიან მეგობრის

ვასილი (ვასო) ნიკოლოზის-ძე იაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება სასამართლოს ქ. № 32.

ვ. თანიაშვილი, ვ. ხუციშვილი, ა. ლითანიშვილი, მ. ჯაფარიძე, ვ. ნადარეიშვილი, ქ. ჯავარშეიშვილი, მ. ხუხუნი, მ. სუკიასოვი, ქ. ემჩინოვი, გ. დოლიძე, ს. თურმანიძე, ი. გომართელი, პ. წერეთელი, შ. ტატიშვილი იუწყებიან ლავრენტი თოთაძის დედის

ეფემია ივანეს-ასულ თოთაძის

გარდაცვალებას. 6217

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—175